645
1973/2

# საბჭოთა ქალი

ივლისი
№ 7 1973 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა
645/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედრა თეთრ სახლში



ამერიკელ ბავშვებთან

# ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ყველა ღონისძიება საგარეო პოლიტიკის დარგში, რომლებიც ხორციელდება XXIV ყრილობის შემდეგ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტების შედეგები საფრანგეთში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმნიშვნელოვანესი წვლილია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ და ერთსულოვნად უჭერს რა მხარს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის კურსს, ძალების დაუზოგავად შრომობს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების გასამრავლებლად. რითაც განამტკიცებს მყარი მშვიდობისა და უშიშროების საფუძვლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

# ლექსი საბჭოთა პასპორტზე

## დაბადების 80 წელი

ბიუროკრატიზმს
        მგელივით
                დავკბენ.
მანდატებს
        თავზე ლაფი დავასხი.
ეშმაკისა და ჯანდაბისაკენ
        ყველა ქაღალდი,
მაგრამ ამას კი...
ამ გრძელ რონოდას
        მოჰყვება კაცი —
ზრდილობიანი ვიღაც მოხელე.
საკუთარ პასპორტს
        მას ყველა აწვდის
და ჩემ ალისფერ
        წიგნსაც
                მოხედეს.
ზოგიერთ პასპორტს
        ღიმილი ნაზი,
და აბზუება ზოგიერთს
        ტუჩის;
ინგლისურისა,
        ლომი
                რომ აზის,
პატივისცემა
        არავის უჭირს.
გამოცოცხლდება..
        მოხელე
        მყისვე,
მას თავმდაბალი
        ზრდილობა
                ახრჩობს,
და ვით საჩუქარს,
        აიღებს ისე
ამერიკელთა
        პასპორტს.
ვით თხა აფიშას —
        პოლონურს ისე
უცქერის,
        ხვნეშის
                და იხევს უკან.
და სპილოს გოგრა
        ლუღლუღებს მყისვე:
გეოგრაფიის
        შეცვლილა რუკა?
თავის გოგრა არ
        მობრუნებულა,
და გულს
        არცერთი
                გრძნობა არ შესწვდა,
როცა დანიის
        მიაქვთ პასპორტი
და ათასნაირ,
        სხვადასხვა
                შვედთა.
თითქოს
        მდუღარემ
                ტუჩები
                        დასწვა,
მოექცა უხეში
        ამ ადამიანს,
როს თვალი მოჰკრა
        და ხელით
                დასწვდა
ვეება პასპორტს
        წითელკანიანს.
ასე იღებენ
        ყუმბარას,
                ან ზღარბს,
ან სამართებელს
        ორპირ
                გალესილს,
ასე იღებენ ხელში
        საზიზღარს
გველს ათასნაირ
        შხამით დაგესლილს.
მეტვირთავემა
        თვალი ჩამიკრა,
                სჩანდა:
მზად არი ბარგი წამიღოს
        მუქთად,
მაგრამ ჯაშუში
        უცქერის ჟანდარმს,
მერე ორივე
        მე დამემუქრა.
ის, რომ შეეძლოს,
        გამამათრახებს,
ჟანდარმთა ჯიში
        მომკლავს
                და მომსპობს,
მხოლოდ იმიტომ,
        რომ მე ვატარებ
ჩაქუჩ
        ნამგლოვან
                საბჭოთა
                        პასპორტს,
მე ქაღალდების
        არ მაქვს
                პატივი,
ბიუროკრატობას
        მგელივით დავკბენ,
ქაღალდებს თავზე
        ლაფი დავასხი,
ეშმაკისა და
        ჯანდაბისაკენ
ყველა მანდატი,
        მაგრამ ამას კი...
ვიღებ
        ჯიბიდან
                და მახალისებს,
თითქოს
        საგანძურს ძვირფასს ვალაგებ.
წაიკითხეთ და
        შურით ალივსეთ:
საბჭოთა ქვეყნის
        ვარ მოქალაქე.
                1929 წ.



მოქანდაკე გურამ კორძახია

ვლადიმერ მაიაკოვსკი



მეცნიერება ეხმარება სოფელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალტარ-ოიანი სიმინდის სამშობლოა საქართველო

ინტერვიუ პროფესორ
გიორგი პაპალაშვილთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგის, პროფესორ გიორგი მიხეილის-ძე პაპალაშვილის ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობის შედეგად პირველად მსოფლიოში მიღებულია მრავალტაროიანი სიმინდის ტიპები, რომლებიც მარცვლისა და მწვანე მასის უხვ მოსავალს იძლევა.

ამის შესახებ ჟურნალს ინტერვიუ მისცა პროფესორმა გიორგი პაპალაშვილმა.

**კითხვა:** რა პერსპექტივები გააჩნია თქვენს ახალ გამოგონებას?

**პასუხი:** დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფის საკითხი. ამიტომაც, მრავალტაროიანი სიმინდის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სიმინდი წარმოადგენს არა მარტო ადამიანის საკვებს, არამედ საფურაჟე კულტურასაც და მისი მოსავლიანობის გადიდებით განმტკიცდება მეცხოველეობის საკვები ბაზაც.

ჩვენს წინაშე დაისვა ამოცანა სიმინდის არსებული ჯიშების გარდაქმნისა და ბუნებაში არარსებული ახალი სიმინდის შექმნისა. ეს ამოცანა არსებითად გადაჭრილია. საქართველო იქცა მრავალტაროიანი სიმინდის სამშობლოდ.

**კითხვა.** როგორ მიიღეთ მრავალტაროიანი სიმინდი?

**პასუხი:** მაიონიზებელი რადიაციის მასტიმულირებული მოქმედების საფუძველზე გამოვლინებული იქნა ჩვეულებრივი ერთორტაროიანი (აჯამეთის თეთრი, ქართული კრუგი) ჯიშების ის მცენარეები, რომლებიც მრავალტაროიანობისადმი ყველაზე უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ. შემდეგ ისინი შეჯვარებული იქნა ტკაცუნა („ბატიბუტა") სიმინდთან, რომელიც მრავალტაროიანობით ხასიათდება. მაგრამ ამ უკანასკნელის ტაროები და მარცვალი ძალიან წვრილია. ამ გზით მიღებული ჰიბრიდების ბაზაზე გამომუშავე-

ბულ იქნა ახალი ტიპის სიმინდი. ჰიბრიდებში სასურველი თვისებების გაძლიერებისათვის გამოყენებულ იქნა მემკვიდრული ცვლილებების ხელოვნურად გამოწვევის (ინდუცირებული მუტაგენეზის) მეთოდი.

ჰიბრიდიზაციისა და მუტაგენეზის სინთეზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა სელექციის ახალი გენეტიკური მეთოდი.

**კითხვა:** მრავალტაროიანი სიმინდის რამდენი ტიპია მიღებული?

**პასუხი:** მიღებულია მრავალტაროიანი სიმინდის 10-მდე ტიპი, რომლებიც განსხვავებული ღირსებებით ხასიათდებიან. მათ შორის ალსანიშნავია ორი ძირითადი: განსაკუთრებით საყურადღებოა უნივერსალური მრავალღეროიან-მრავალტაროიანი ტიპი და ერთღეროიან-მრავალტაროიანი სამარცვლე მიმართულების ტიპი. პირველი ტიპისათვის დამახასიათებელია ის, რომ ერთი მარცვლიდან მიიღება 2-დან 16-მდე ღერო. მათ შორის ერთი ღერო მთავარია, დანარჩენი — დამატებითი. დამატებითი ღეროები სიმწიფისას სიმსხოთი თითქმის უთანაბრდებიან მთავარ ღეროს. თითოეული ეს გიგანტური ბუჩქი 7-დან 17-მდე საშუალო ან მსხვილი ზომის ტაროს იკეთებს. ერთღეროიან-მრავალტაროიანი ტიპის თითო მცენარე კი 3-დან 10-მდე მსხვილ ტაროს იკეთებს.

მრავალტაროიანი სიმინდის დანარჩენი ტიპები ჯერ კიდევ შესწავლისა და გამოცდის პროცესშია.

**კითხვა:** როგორ მოსავალს იძლევა თქვენს მიერ გამოყვანილი სიმინდის ახალი ტიპები?

**პასუხი:** უნივერსალური მიმართულების მრავალღეროიან-მრავალტაროიანი სიმინდი კარგად მოვლილ ნიადაგზე ჰექტარზე იძლევა 1.200-დან 1.500-მდე ცენტნერ მწვანე მასას, ხოლო ზოგჯერ მეტსაც. ამასთან, მას გააჩნია 150 ცენტნერი მარცვლის მოცემის უნარი, მაშინ, როდესაც დღემდე გავრცელებული ერთ-ორტაროიანი სიმინდისაგან ჰექტარზე 200-300 ცენტნერ მწვანე მასას და 30-დან 60-მდე ცენტნერ მარცვალს ვიღებდით.

სადღეისოდ ზუსტად არ არის დადგენილი, თუ რამდენ ცენტნერ მარცვალს მოგვცემს ერთღეროიან-მრავალტაროიანი სიმინდი. მისი აგროტექნიკა დამუშავების პროცესშია. მაგრამ ჩვენი ვარაუდით კიდევ უფრო დიდი იქნება მისი მარცვლის მოსავალი.

**კითხვა:** რა ინტერესი გამოიწვია სიმინდის ახალი ტიპების მიღებამ და როგორ გამოეხმაურნენ ამ ფაქტს ჩვენთან, სსრ კავშირში და საზღვარგარეთ?

**პასუხი:** სიმინდის ახალმა ტიპებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენთან, საქართველოში, საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და საზღვარგარეთაც.

მრავალტაროიანი სიმინდის შესახებ პირველად 1965 წელს დაიბეჭდა სტატია გაზეთ „სელსკაია ჟიზნში", შემდეგ გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, ამას მოჰყვა მკითხველთა წერილების ნიაღვარი. ისინი გვილოცავდნენ გამარჯვებას, მოითხოვდნენ სიმინდის თესლს.

1972 წელს გენეტიკოსთა საკავშირო ყრილობის პლენარულ სხდომაზე აღინიშნა, რომ მრავალტაროიანი სიმინდის მიღება არის ერთ-ერთი დიდი მიღწევა საერთოდ გენეტიკის სფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში.

სიმინდის ახალი ტიპების შესახებ გამოქვეყნდა ნაშრომები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის გამოცემებში.

ახალი ამბების დეპეშათა სააგენტოს საშუალებით ჩვენი მრავალტაროიანი სიმინდის შესახებ საკმაოდ ვრცელი წერილები დაიბეჭდა ინგლისში, აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, კანადაში, ავსტრალიაში, ყველა სოციალისტურ ქვეყანაში.

**კითხვა:** საქართველოს რომელ რაიონებში ითესება ახალი ტიპის სიმინდის თესლი?

**პასუხი:** ახალი ტიპის სიმინდის თესლი დაითესა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ შეისწავლიან ახალი ტიპის სიმინდს საწარმოო პირობებში.

გარდა ამისა, ეს სიმინდი დაითესა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის საცდელ ბაზებში.

ახალი ტიპის სიმინდისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტმა. ჩვენ მათთან ერთად დავიწყეთ ახალი სიმინდის შესწავლა აზერბაიჯანის პირობებში.

**კითხვა:** საქართველოში რომელი ინსტიტუტები დაინტერესდნენ სიმინდის ახალი ტიპის თვისებების შესწავლით?

**პასუხი:** სხვადასხვა ინსტიტუტები სიმინდის სხვადასხვა მხარეს შეისწავლიან. მცენარის ბიოქიმიურ თვისებებს სწავლობს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. ნიადაგებზე სიმინდის რეაქციის საკითხებს შეისწავლის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრა ადგენს სიმინდის ფიზიოლოგიურ თვისებებს და სხვა.

**კითხვა:** სად წარმოებს ახალი ტიპის სიმინდზე თქვენი ცდები და დაკვირვებანი?

**პასუხი:** აღნიშნული ტიპების სრულყოფას და სხვა ახალი ტიპების ჩამოყალიბებას ჩვენი კათედრა აწარმოებს გლდანის, კრწანისისა და მარნეულის საბჭოთა მეურნეობებში.

**კითხვა:** რა წარმოადგენს თქვენი კათედრის კვლევის საგანს?

**პასუხი:** ჩემი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრა ამუშავებს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გენეტიკურ პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გენეტიკური მეთოდების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ცხოველთა და მცენარეთა არსებული ჯიშების სრულყოფას და სხვა ახალი, მაღალპროდუქტიული შტამების შექმნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

## ჩემო სამშობლოვ!

მემატიანევ, დინება დროთა
შენ უწყი კარგად, რარიგ მძაფრია, —
სისხლივით ერთვის ძიება, შფოთვა
ჩემი თაობის ბიოგრაფიას.
მემატიანევ, როდესაც უკვე
ჩემი ტოლებიც გამხდარან მჭევრნი,
მიაყურადე იმ დღეთა ბუკებს,
როგორ განიხვნენ წარსულის ბჭენი.
არგაგონილი და არნახული
ომის გრიგალი აკვნებს გვირწევდა.
ცეცხლის ტევრებში მიმოხლართული
მძიმე ბავშვობა დარჩა იმ წლებთან.
ახლა სამშობლოვ,
სიტყვა მართალი
შრიალებს, როგორც ფრთები საფრენი, —
ეს სისხლი ჩვენი შენად ჩასთვალე,
რწმენის და ლტოლვის მგრგვინავ აფრებით.
ჩემო სამშობლოვ,
შენი განძია
ჩვენი ზესწრაფვა,
საქმე,
ფიქრები. —
ახალ გელათს თუ ახალ ვარძიას
ალვაშენებთ და
ერთად ვიქნებით.
არგაგონილი, ჯერ არნახული
დგას შვილთა შენთა შრომის სიალე,
დღევანდელი დღის
ჩვენ ვართ მსახურნი
და... ნათლის გზებით უნდა ვიაროთ.
ახლა ყოველი ფერი თუ ბგერა,
აზრი თუ წვდომა მზეებრ იფეთქებს, —
ეს ჩვენ ვგუგუნებთ ქარხნებში, ველად
შენდა სიმაღლედ,
შენდა სიკეთედ.

## რწმენა

მჯერა შენი გზის,
ნათელი აზრის
და... შენი გულის სიღრმეში ვწევარ, —
როგორც შრიალი გაფოთლილ ვაზის,
ისე მახარებ,
დიადო რწმენავ!
შენ ადამის ძეს სჭირდები ისე,
როგორც აფრენას სჭირდება ფრთები,
როცა შენს ხმაურს იმედად ვისმენ,
ლამის ხელებზე დავიფშვნა მთები.
სიცხადე შენი
დღეს საჭიროა,
როგორც სინათლე თვალთა და ხმენა,
შენ განმიკურნავ ყველა ჭრილობას,
ყველა სატკივარს, მაღალო რწმენავ!
ადრე მამების მძიმე ცხოვრებას
თვალს უსწორებდა წყვდიადი მწველი,
დღეს უხათუოდ გემახსოვრება,
მონობა როგორ დაამხეს რწმენით.
ცხოვრების გზაზე შევხვდებით ელებს;
ჭირ-ვარამს ათასს,
დარდსა და წყენას.
არაფერია!
თუკი გყავთ მეკვლედ
ყველაფრის შემძლე
მომავლის რწმენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთავარია ხარისხი!

ძუძუთა ბავშვი ხშირად იღვიძებდა და უმიზეზოდ ტიროდა. რა აწუხებდა, ვერავინ გაიგო. ოჯახში ნერვიულობდნენ. პატარა მაიკოს უძილობით დადარდიანებულმა ახალგაზრდა დედამ მეზობლებს შესჩივლა. ყველაფრისმცოდნე სოფიო ბებიამ ცნობისმოყვარეობით იკითხა: ბავშვს თბილისურ საწოლზე ხომ არ სძინავსო?

თურმე ნუ იტყვით, მართლა საწოლი იყო მიზეზი...

აი, როგორი რეკლამა აქვს დედებში თბილისურ საწოლს.

თბილისის ხის გადამამუშავებელი კომბინატი უშვებს ბავშვის საწოლს, რომელიც სტანდარტულობით არ უნდა განსხვავდებოდეს სამამულო და უცხოური საწოლებისაგან. ძირითადად ეს ასეცაა, მაგრამ არის ზოგიერთი, თითქოსდა უმნიშვნელო გადახვევა, რაც იწვევს დედებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელების სამართლიან უკმაყოფილებას.

უცხოურ საწოლს ზღვის ბალახით დატენილი 12 სმ სისქის ლეიბი ახლავს, მაშინ, როცა თბილისურის ლეიბში უბრალო ბამბა დევს და 5 სმ სისქისაა. ლეიბი ორივე შემთხვევაში ეყრდნობა ხის ძელაკებიან ბადეს. თბილისური „ვარიანტი" ვერ უზრუნველყოფს საწოლის ზედაპირის სისწორეს და ჯოხებზე დაბჯენილი თხელი ლეიბი ბავშვს აწუხებს.

აი, თურმე რატომ ტიროდა პატარა მაიკო!

გამოცდილმა დედებმა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელებმა თბილისური საწოლის ნაკლი „ორიგინალურად გამოასწორეს" — ლეიბის ქვემოთ ფანერა დადეს ისე, როგორც მოსკოვურ საწოლებს აქვთ.

ახლა მაიკოს მშვიდად სძინავს, მაგრამ სამაგიეროდ მისი ლეიბი აღარ ნიავდება. ფანერამ მთლიანად დაახშო საწოლის ვენტილაცია, რომლის აღსადგენადაც აუცილებელია მისი დახვრეტა. ვინ უნდა აკეთოს ეს და ვის ხარჯზე — მშობლებმა, საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელებმა თუ ფაბრიკამ?

თბილისური საბავშვო საწოლებით უკმაყოფილება გამოთქვეს № 40 და № 41 საბავშვო ბაგა-ბაღებში. მათ საწოლები შეიძინეს რამდენიმე წლის წინ, როგორც კი მოიტანეს, მაშინვე საგორავები მოხსნეს, რადგანაც ადრინდელი გამოცდილებით იცოდნენ, რომ ერთ-ორ კვირაში თავისით მოძვრებოდა. მერე საწოლებში ფანერები ჩააწყეს, ზევიდან ლეიბი დააგეს და ისე ჩააწვინეს ბავშვები. ხის საწოლებს უჩივიან სხვა საბავშვო ბაგა-ბაღებშიც.

საწოლებს გარდა საბავშვო ბაგა-ბაღებს კიდევ ბევრი სატკივარი აქვთ. № 9 საბავშვო ბაღში ახალმოტანილი ტანსაცმლის კარადები შესასვლელში ეწყო, რადგან ჯგუფებში შესატანად ჯერ „მზად" არ იყო. ხელოსანი კარადების გაღება-დაკეტვაზე „მუშაობდა". კარადებს საკიდები მოვარდნოდა, არც სახელურები ჰქონდა წესრიგში. როგორც წესი, ახალი კარადების კარები არც იხურებოდა და არც იღებოდა. დიდებს უძნელდებოდათ მათი გაღება-დაკეტვა, პატარებს სად შეეძლოთ ამ კარადებით სარგებლობა!

ამავე საბავშვო ბაღში ერთი კვირის წინ მოტანილ ზოგიერთ სკამს ნაწილები მორყეული აღმოაჩნდა.

— ნახევარი წლის შემდეგ გადასაყრელი იქნებაო, — გულისტკივილით აღნიშნა ბაღის გამგემ.

რა თქმა უნდა არასასიამოვნოა სკამების დაბალი ხარისხი, მაგრამ უფრო საგანგაშოა სკამების დამზადების დროს ასაკობრივი განსხვავების გაუთვალისწინებლობა.

საბავშვო ბაგა-ბაღებს მაგიდები და სკამები ბავშვთა ასაკის მიხედვით არ ეგზავნებათ. ამ საკითხზე, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს. განა შეიძლება 2 წლის და 6 წლის ბავშვი ერთი ზომის სკამით ან მაგიდით სარგებლობდეს? ორი წლის ბავშვი მაგიდას ვერ წვდება, 6 წლისა კი პირიქით, ისე იხრება, რომ საშიშია ჯანმრთელობისათვის.

როგორი მდგომარეობაა მოსწავლეთა ავეჯის მხრივ სკოლებში?

რესპუბლიკის უმეტესი სკოლები უზრუნველყოფილი არიან ახალი სტილის სრულყოფილი მერხებით (მოწაფის მაგიდა და სკამი). ზოგიერთ სკოლაში კი, ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით, დღემდის გრძელდება მეცადინეობა იმ მერხებზე, რომელიც განათლების სამინისტროს დაკვეთით საცდელი ნიმუშების სახით გამოუშვა თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკამ (გასაკვირია, რომ უვარგის საცდელ ნიმუშებს ორი წლის მანძილზე სერიულად უშვებდნენ!).

სკოლებს ამ მერხების გამო სამართლიანი პრეტენზიები აქვთ. მოწაფის მაგიდაზე გადაკრულია უფერული მუყაო, თუ მასზე შემთხვევით მელანი დაღვენთა, მისი ამოწმენდა შეუძლებელია. მაგიდის ნიშაში (თარო) ჩანთა ვერ თავსდება და იგი მოსწავლეს გვერდით უდევს. რკინისფეხებიანი სკამები მორყეულია, სჭვალები (შურუპები) ამოვარდნილი.

თბილისის № 140 სკოლის დირექტორმა ასე გვითხრა: ხუთი წელია საცდელი მერხები დგას სკოლაში. სკამები ძალზე მორყეულია, მცირე მოძრაობის დროსაც კი ხმაურობს, რაც ხელს გვიშლის მეცადინეობაში. უფრო მეტიც, მერხები გათვალისწინებული არ არის სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის. დაწყებითსა და მაღალ კლასებში ერთნაირი ზომის მაგიდებია. ამის შესახებ სკოლის დირექციამ საკითხი განათლების სამინისტროს წინაშე დააყენა, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. ადვილი შესაძლებელია ასეთმა საცდელმა მერხებმა ბავშვებში სქოლიოზი (ხერხემლის გამრუდება) განავითაროს. უკვე არსებობს მერხის სრულყოფილი ნიმუშები და ამ მერხებით ყველა სკოლა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ცნობილი ერისმანის მერხი, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა და რომლითაც თაობები სარგებლობდნენ, დროთა განმავლობაში შეცვალა პროფესორ მისკოვის მერხმა, მერე იყო ფროლოვის მერხი, დაბოლოს, საკავშირო პედაგოგიური აკადემიის სასკოლო ავეჯის მეთოდურმა ინსტიტუტმა დაამუშავა მოსწავლის მერხის შემცვლელი მაგიდა.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას დაუკვეთა საკავშირო მოდელის მოსწავლის მაგიდები.

ფაბრიკის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ ინსტიტუტის მოდელის მიხედვით გამოეშვათ მაგიდები, რადგან არ ჰქონდათ სათანადო მასალა, მაგრამ სამინისტროს თხოვნით მაინც დაამზადეს საცდელი ნიმუშები, რაც შემდეგში რატომღაც სერიულში გადაიზარდა. მაგიდები მხოლოდ ერთი ზომისაა და ზედაპირზე გადასაკრავი პლასტიკატი მუყაოთია შეცვლილი. ამის გამო მასწავლებლები და მოსწავლეები უკმაყოფილონი იყვნენ. მხოლოდ მიმდინარე წელს მოხერხდა მისი ძირფესვიანი გაუმჯობესება.

ამჟამად ფაბრიკა მოსწავლის მაგიდას ასაკის გათვალისწინებით უშვებს. მას ზედაპირზე პლასტიკატი აქვს გადაკრული. სხვა ნაწილები ხისა და ლითონისაა. მაგიდა უწყნოა, ლამაზი და გამძლე, და რაც მთავარია — ჰიგიენური.

რესპუბლიკის ახალაგებულ სკოლებში მოსწავლეები უკვე გაუმჯობესებულ მერხებზე სხედან. პედაგოგები მაგიდებით კმაყოფილნი არიან, მაგრამ კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სკამების უვარგისობის გამო. ფაბრიკის მესვეურები, ალბათ, მომავალში გაითვალისწინებენ ამ ნაკლს.





ინტერესმოკლებული არ იქნება ჩავიხედოთ თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ამჟამად ფაბრიკა მოწინავეთა რიგებშია, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, უშვებს ხარისხოვან პროდუქციას.

საწარმოო ძირითადად საბავშვო და სასკოლო დანიშნულების ნაწარმს ამზადებს: 6-ადგილიან პატარა სასადილო მაგიდას, მოსწავლის სკამსა და მაგიდას, ლაბორატორიულ მაგიდას და სამოსწავლო ხელსაწყოების კარადებს. მოწონებით სარგებლობს საბავშვო კარადა და მოსწავლის მაგიდა. საბავშვო კარადა უკაროა და თანამედროვე ლამაზი ფორმა აქვს.

ფაბრიკის ამ მიღწევებში ქალებსაც შეაქვთ წვლილი. მოწინავენი არიან სამოსწავლო საგნების საამქროს უფროსი, ახალბედა ინჟინერი ლიანა ქელეხსაშვილი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აქ მუშაობს, მაგრამ არაერთხელ დაიმსახურა ფულადი ჯილდოები და მადლობები; ხის მოპირკეთების მოწინავე მუშა ნინა დუდა, ფანერის შეკერვის ოსტატი ნუნუ ცხვედიანი და სხვები.

თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის ძირითადი დამკვეთი განათლების სამინისტროა. სამინისტროს სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან პედაგოგები, მეთოდისტები, მხატვრები და არქიტექტორები, წინასწარ მსჯელობს ფაბრიკისთვის მისაცემი დაკვეთების რაობაზე. საბჭოს ვიზის გარეშე ფაბრიკას დაკვეთა არ ეძლევა. ამასთან სამინისტრო კოორდინაციას უწევს უახლესი მოდელის სასკოლო ავეჯის დანერგვის საქმეს და თვითონვე ადგენს მისი გამოყენების სფეროს.

ფაბრიკაში არის ბევრი სიახლე, რაც მისასალმებელია, არის წუნიც, რაც სასაყვედუროა. მაგრამ, არის სიძნელეები, რაც ზოგჯერ საწარმოს მუშაობას აფერხებს. ფაბრიკა ძირითადად მიწოდებული მასალებით მუშაობს: ფანერას, მერქან-ბურბუშელის დაპრესილ ფირებს, სჭვალებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იღებს. არის შემთხვევები, როცა ფაბრიკა საჭირო ნედლეულით დროზე ვერ მარაგდება. რაც სამუშაოს აფერხებს. გამოჩნდება მასალა თუ არა, დაკარგული დროის ასანაზღაურებლად საწარმოში იწყება გამალებული — სამცვლიანი მუშაობა. რასაც, ბუნებრივია, წუნი მოსდევს:

ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის ხის გადამამუშავებელ კომბინატშიც. აქაც მიწოდებული მასალებით მუშაობენ. ეს ის საწარმოა, სადაც მრავალი სახის პროდუქციას უშვებენ და მათ შორის ბავშვის საწოლსაც, რომლის ავ-კარგიანობაზე ზემოთ იყო ლაპარაკი.

კომბინატის ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე იზრუნა ბავშვის საწოლის საგორავებზე. ამჟამად სერიულად გამოდის საწოლები ახალი საიმედო საგორავებით. საკითხი დგას ხის ძელაკებიანი ბადის ზევით ფანერის მოწყობაზე, ამ საკითხს კომბინატი ვერ გადაწყვეტს ზემდგომი ორგანოების დახმარების გარეშე, რადგან იგი დაკავშირებულია ფანერის ფონდების საკითხთან. იმედია, უახლოეს დროში ეს საქმე მოგვარდება.

კომბინატში სიახლეა — დაამზადეს მანეჟის ნიმუში, რომელსაც მიმზიდველი ფორმა აქვს, იგი გამძლე ხისგანაა გაკეთებული. მალე დაიწყება მისი სერიული გამოშვება.

წლების განმავლობაში თბილისურ ნაწარმს გვერდს უვლიდა მომხმარებელი და სამართლიანად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მისი ულაზათობისა და დაბალი ხარისხის გამო. დასანანი იყო ფუჭად დახარჯული შრომა, მასალა, სახსრები, პროდუქცია ვერ საღდებოდა. და თუ მაინც სკოლები და საბავშვო ბაღები იძულებული ხდებოდნენ თბილისური ავეჯი შეეძინათ, გაცილებით ძვირი უჯდებოდათ, რადგან მალე ფუჭდებოდა, მწყობრიდან გამოდიოდა...

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მთელი სიმკაცრით დასვა საკითხი პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ. დღეს უხარისხობა სათანადოდ ისჯება. საჭიროა ყველა სფეროში და მათ შორის საბავშვო ინვენტარის დამზადებაშიც არ დავუშვათ წუნი, ავამაღლოთ და სრულვყოთ ნორჩების ყოველდღიური სახმარი საგნების ხარისხი. ამაში უნდა ჩავრიოთ ფართო საზოგადოებრიობა: მშობლები, ბაღის აღმზრდელები, პედაგოგები და რაც მთავარია, სპეციალისტები.

კარგი იქნება, თუ სასკოლო და ბაგა-ბაღების ავეჯის პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნება ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები და ეროვნული კოლორიტი.

მივაწოდოთ ბავშვებს ლამაზი, მოხერხებული და მაღალხარისხოვანი ავეჯი!

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ასკურავა

# სინანულით სავსე მაჭანებელი

მოთხრობა

მხატვარი ლ. შენგელია

(გაგრძელება)

— ვაჟა, ჩამოდი, ბიძია, ძირს!

თაღიდან გადმოვიხედე, ღუმელის წინ შიო იდგა, თვალები ქუდით მოეჩრდილა და ჩემსკენ იხედებოდა. ვიცოდი, ტყუილ-უბრალოდ არ შემაწყვეტინებდა მუშაობას. ხელით ვანიშნე, რა მოხდა-მეთქი. ჩამოდიო, ქუდი დამიქნია მან.

ძირს რომ ჩამოვედი, ღუმელის გვერდით საავარიო ბრიგადის მუშები დავინახე. ისინი ღუმელის გამონგრეულ კედელს მისჩერებოდნენ და ხელების ქნევით რალაცაზე ბჭობდნენ. გამონგრეული კედლიდან ბოლქვებად ამოდიოდა ალი.

სარემონტო ბრიგადის ორი მუშა შიოსთან მივიდა.

— ზევით იყავი? — ვიღაცამ მკლავზე წამკრა ხელი. — მივიხედე, გვერდით შაქრო მედგა. იგიც გამონგრეულ კედელს მისჩერებოდა. — იცი, რა მოგივიდოდა, თაღი რომ ჩამონგრეულიყო? ურალში თუ დონბასში ჩავარდნილა ვიღაც ღუმელში. ახლა, თურმე, ის ნადნობი მთლიანად დგას ძეგლივით.

„მაშინებს“, — გავიფიქრე.

— მშვენიერი ძეგლი ჰქონია, — ვთქვი.

შაქრომ რალაც ჩაილაპარაკა. ყურადღება არ მიმიქცევია. შიო მეძახდა. ის და საავარიო ბრიგადის მუშები კამათობდნენ.

— ნახევარი საათი მაცალეთ და გავუშვებ, — ამბობდა შიო.

— ოცდაათი წუთი, კაცო? — წარბი აიზიდა საავარიო ბრიგადის მუშამ.

— არა, მთელი საუკუნე, — გაბრაზდა შიო.

— თაღიც რომ ჩამოინგრეს? — თქვა მეორე მუშამ.

— ჯერ არ ჩამოინგრევა, — დამაჯერებლად თქვა შიომ. მერე მე მომიბრუნდა! — ვაჟიკო, გერონტის დამიძახე, მეშვიდე ღუმელთან უნდა იყოს.

მეშვიდე ღუმელისაკენ გავწიე. „თაღი, რომ ჩამოინგრესო“ — არ მცილდებოდა ფიქრი, „რომ ჩამოინგრესო“...

კაზმის ჩამტვირთავი მანქანის მძღოლმა ვიტალი შულგინმა ცხვირწინ გამიჩერა ციცხვწამოკიდებული მანქანის დინგი. იგი ჩვენს მეზობელ ოთახში ცხოვრობს და რაკი ერთადაც ვმუშაობთ, დავვახლოვდით კიდეც.

— რაო, ვაჟიკო, აკლიმატიზაციის პერიოდმა არ გაგიარა? — შემომცინა, — დაბნეული დადიხარ რალაც.

— ა, ეს ისე, ფიქრმა გამიტაცა, — ვთქვი და შეძლებისდაგვარად გავუღიმე ვიტალის.

„თაღი რომ ჩამოინგრესო“ — გავიფიქრე ჩემთვის. თავი დავაკანტურე და გზა გავაგრძელე.

მეშვიდე ღუმელთან, თვალმოჩრდილული გერონტი ფურმის პრილში იჭვრიტებოდა. კმაყოფილი სახე ჰქონდა, ოდნავ მოჭუტულ თვალებში ღუმელის ცეცხლის კაშკაშა ანარეკლი უციმციმებდა.

— ხუთ წუთში გაუშვით! — გადასძახა გვერდით მდგომ მეფოლადეს და მის თანაშემწეებს.

— მეორეზე კედელი გამოინგრა. — ვუთხარი მე.

— ვიცი. — თქვა გერონტიმ. — ფერი რამ დაგიკარგა? — ფეხს აუჩქარა. მე უკან დავედევნე.

— ბატონო გერონტი...

— წადი საჭმელი ჭამე! — მომიბრუნდა და გამიცინა.

— ღუმელი? — ჩემმა ხმამ გამაკვირვა. ალბათ გამომეტყველებაც ბრიყვული მქონდა. გერონტიმ მხარზე დამკრა ხელი.

— მოუვლიან ღუმელს, ენთუზიასტო.

— გერონტი ბიძია, მე მინდოდა რჩევა მეკითხა თქვენთვის.

— წადი, წადი და ისადილე. ისე კაი ბიჭი ხარ შენ, — ალერსიანად მითხრა გერონტიმ. — აბა, მე ყველას კი არ ვაძლევ გასაღებს.

ერთი კვირის წინ გაზიანი წყლის ჯიხურთან ვიჯექი და რეზოს მოტანილ წიგნს ვკითხულობდი. გერონტიმ დამინახა, კარგია, რომ მეცადინეობო, მითხრა. ჯიბიდან გასაღების აცმა ამოიღო, ერთი ამოარჩია, მოხსნა და მომცა — თავისუფალ დროს ჩემს ოთახში შედი და იმეცადინეო. გერონტის ციცქნა კაბინეტი ჰქონდა საამქროს ლაბორატორიის გვერდით.

— არ ვისადილოთ? — აზიზა იყო. ხელი გამომდო და სასადილოსაკენ წავედით. — იცი რა? — მითხრა, — დაფიქრებული კაცი ინდაურს გავს, დასიცხულ ინდაურს.

— შენი დაკვირვების უნარით, შორს წახვალ.

— დამცინი?

— არა, აზრი გამოვთქვი, უბრალოდ.

სასადილოში ენა არ მოგვისვენებია. რეზოც შემოგვიერთდა და მის გვერდით წარმოუდგენელია ჩუმად ყოფნა. მიდგა და საამქროს სასადილოს მზარეულებს დაუწყო ლანძღვა:

— ალექსის ლობიოსა და ჩახოხბილს შემდეგ აქაური სალაფავი მოეწონება კაცს? — მკითხა.

— იჩივლე ადგილკომში, — ვურჩიე.

— ჯაბა იაქაშვილთან? იმას საკუთარი ლანდის ეშინია, — თქვა აზიზამ.

— უფრო ზევით რომ სინჯო?

— ჩივილით ვის რა მოუგია? — არ დამეთანხმა.

* * *

სამუშაო ძნელია და გვარიანადაც ვიქანცები. კაცმა რომ თქვას. ამას არა უშავს რა, დაღლას დასვენებას უნაცვლებენ, მაგრამ შიშს ვერ მოვუხერხე ვერაფერი, იმ დღის შემდეგ მაინც, თაღის ჩანგრევის საფრთხე რომ ვიგრძენი. აქამდე შიში უცხო ხილი იყო ჩემთვის, ალბათ, იმიტომ, რომ სერიოზულ საფრთხეს არასდროს შევყრივარ პირისპირ. ისე, არც ყარამანობაზე ვდებდი თავს, მაგრამ, არც მხდალი ვიყავი აქამდე.

ასე თუ ისე, შიშის ნამცეცი ჩამივარდა გულში. გარედან ამას ისე ვხედავდი, თითქოს ჰიქა ანკარა წყალში ჩავარდნილ, კალმის წვერს მოწყვეტილი ქიმიური მელნის წვეთის გაზავებას ვაკვირდე-

ბოდი. წვეთმა ჯერ წყლის ზედაპირი გააისფრა, მერე კედლებს ჩაუყვა და ფსკერზე გაიშალა. და ბოლოს, სულ რომ გამუქდა წყალი, აღარ ვიცოდი, რა მექნა.

მეორედ რომ შევესწარი კედლის ჩანგრევას, აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. საერთო საცხოვრებელში მისვლაც ვერ გავბედე. ვიცოდი, სახეზე მქონდა გამოხატული შიში. რა თქმა უნდა, შემამჩნევდნენ და სხვები თუ თავს შეიკავებდნენ, ავთოს დაცინვას ვერ გადავურჩებოდი. მაინც, ფოსტაში გავიქეცი და დედას დავურეკე. მკერდზე ხელი მოვიჭირე, დედაჩემის „ალო" რომ გავიგონე.

— მე ვარ, დედა! — დავიყვირე და საკუთარმა ხმამ შემაკრთო.

დედაც შეშინდა, მგონი. კითხვები დამაყარა, თუმცა მე გარკვევით ვერაფრის გარჩევა ვერ შევძელი, საერთოდ მიხაროდა, რომ დედა ლაპარაკობდა და მე მესმოდა მისი ხმა.

— წიგნი გიყიდე, დედა, რომ ჩამოვალ, ჩამოგიტან, — ვთქვი ბოლოს და ყურმილი დავკიდე.

გარეთ გამოვედი. უჩვეულო ლამაზი მეჩვენა მიდამო. თავი მაღლა ავწიე, ფანჯარაში გადმომდგარი ვიღაც გოგონა მოდურ სიმღერას მღეროდა, ოთახის სიღრმეში ვიღაც პიანინოზე უკრავდა იმავე მოტივს. ვცადე მუსიკისთვის ამეწყო ხმა. „ოდნავ რომ აუწიოს, უკეთესად გამოგვივიდოდა", გავიფიქრე. მუსიკა შეწყდა. მაღლიდან კისკისი შემომესმა. გოგონა აღარ ჩანდა ფანჯარასთან.

ქუჩის შუა დატანებულ ხეივანში რეზო დავინახე და მისკენ გავემართე. მივხვდი, რეზო იმ ფანჯარას შესცქეროდა, წეღან მომღერალი გოგონა რომ იდგა, მივუახლოვდი და ბეჭებზე დავარტყი ხელი.

— გაები, შეყვარებულო? — ვთქვი.

რეზომ, ვითომ არც გაეგონოს ჩემი ნათქვამი, სკამზე ჩაიჩოჩა და დაჯდომა შემომთავაზა. ზედვე ეტყობოდა, უმწეო მდგომარეობაში იყო, მაგრამ, მალე გამონახა გამოსავალი.

— ამ ბოლო დროს, რაღაც ძალიან მოუხშირე თაღების წმენდას, — მითხრა.

— მე მგონი, ამჯერად, აჯობებს მეორე სართულის ღია ფანჯრის გარშემო ვილაპარაკოთ.

— მეორე სართულის კარებიც მალე გაიღება. შენ ის მითხარი, რატომ იკლავ თავს. ზომაზე მეტი, ხიზილალაც მაწყინარია.

— არა მგონია.

— როგორ არა გგონია, ლამისაა გაცვითო ჩვენი ღუმელის თაღი. გუშინაც გადაწმინდე, დღესაც. მეხუთესა და მეშვიდეზეც ორჯერ დაგინახე დღეს. აზიზამ მითხრა: იქნებ შეასმინო რამეო. უფროსებიც ამას ამბობენ. გერონტიმ ხომ გითხრა. ვერ გაუძლებ.

— აბა უსაქმოდ ვიჯდე? თანაც, სულ არ ვიღლები.

რეზომ ორჭოფულად შემათვალიერა. აშკარა იყო, ტყუილში დამიჭირა. ზოგჯერ მუხლებიც კი არ მემორჩილებოდა, მაგრამ ღუმელზე მივბობღავდი მაინც. თითონაც არ ვიცოდი, რატომ ვიქცეოდი ასე.

— რაა, იცი? — რეზომ ეშმაკურად მოჭუტა თვალები, — გეშინია და იმის ბრალია.

— რა?

— რა და სულ თაღებზე რომ ხარ.

— სრულებითაც არა.

— დამიჯერე. მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ეს. თაღზე ასვლამდე შიშს ჰყავხარ შეპყრობილი და შიში თაღზე ასასვლელად გეწევა. შემდეგ კი მაინც ამოტივტივდება შიშის გრძნობა, ისევ გიწვევს, გაფორიაქებს, გაქეზებს, შენც დგები და თავიდან იწყებ ჭიდილს. ასე გრძელდება უსასრულოდ.

— ვითომ, უსასრულოდ?

— მერე შეეჩვევი.

— მაგრამ, ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ჩაინგრეს...

— ერთ დღეს, და ის დღე, სხვათა შორის, სულაც არ იქნება მშვენიერი, შეიძლება ამოხეთქოს ვეზუვზე გაცილებით დიდმა ვულკანმა, ან თვითონ ვეზუვმა გაიღვიძოს, შეიძლება დედამიწას დაეჯახოს ჩვენი ქალაქის ტოლი ასტეროიდი. არც ის არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს, პირი დაიბანოს ჩვენი სასადილოს მზარეულმა. ასე, რომ, მოეშვი ჰიპოთეზებს და თუ კი იცი, რომ საშიშია თაღზე სიარული, ნაკლებად იარე. გამიგე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეტყვი-მეთქი ჩემს გადაწყვეტილებას, გავიფიქრე, მაგრამ, წინასწარვე ვიცოდი, არაფერს არ ვიტყოდი და წამოვდექი.

— წავიდეთ, — თქვა რეზომ, — აგერ ორი ბილეთი მაქვს, კინოში გპატიჟებ.

— უკაცრავად, მაგრამ, მგონი, ჩემთვის არ იყო მეორე ბილეთი განკუთვნილი.

რეზომ ირონიულად გადმომხედა.

— იკბინები, ყმაწვილო?

— მართლა გიყვარს?

რეზოს არაფერი უთქვამს, თავდახრილი მოაბიჯებდა.

* * *

ღუმელის თაღიდან ერთიანად გაოფლიანებული ჩამოვედი, ნიღაბი და სათვალე მოვიხსენი და გაზიანი წყლის ჯიხურთან მივედი. ის იყო, პირველი ყლუპი მოვსვი, რომ თვალები ელვის შუქმა მომჭრა.

— ესეც ასე, შესანიშნავია! — ბერეტიანმა კაცმა ფოტოაპარატი დაკეცა და ხელით მანიშნა — გვერდზე მივდგეთო. — ვერა და ვერ შევეჩვიე აქაურ ხმაურს. — შემომჩივლა.

— მე...

— ვიცი, ახალმოსული ხარ. აქ ყველას ვიცნობ. — გამიცინა. — მოდი, ნუ გერიდება.

ფეხი კედელზე მიაბჯინა და მუხლზე წიგნაკი გაშალა.

— ერთი ეს დამიჭირე, თუ ძმა ხარ, — ხელში აპარატის ჩანთა შემომაჩეჩა, — ახლა, სახელი და გვარი მითხარი.

— მე არაფერს ვაკეთებ ისეთს.

— არა უშავს, აწი გააკეთებ. — დამაიმედა. — აქ სამუშაოდ, რა თქმა უნდა, მოწოდებამ მოგიყვანათ, არა?

— თავი დამანებეთ, რა...

— გაღრჩობ, კაცო?! ხალხში მინდა გამოგიყვანო.

— ჰო და, არაფერი გამიკეთებია-მეთქი საამისო.

— ხელზე რატომ გაწერია სახელი, ვაჟა? ბავშვობის დროინდელი ცუღლუტობაა, არა? — მეგობრულად გამიღიმა. — მეც ჩავიდინე მაგ ცოდვა, აგერ! — მარჯვენა მკლავზე სახელო აიკაპიწა. — მხოლოდ ინიციალებია. ეჰ, რას იზამ, ჭაბუკობის ონავრობაა. გვარი მითხარი. უბის წიგნაკში სახელი ჩაიწერა.

— ვეფხვაძე, — ვთქვი მე.

— სულ ერთი თვეა რაც მუშაობთ, არა?

— დამიჯერეთ...

— კარგად იყავი. წარმატებებს გისურვებ. იცოდე, მე კარგი ხელი მაქვს. — თავი დამიკრა და გრძელ საამქროს სირბილით გაუყვა.

„აი, კაცი. — გავიფიქრე. — მოვიდა, „ჩხაკ", რა გვარი ხარ, რა გქვია და ჰაიდა. იქნებ სულაც არ იყო ჩემი საქმე მეტალურგობა. თუ მაინცდამაინც ქარხანაში ვიმუშავებდი, ქარხნები..."

— ვაჟა, ამ ხალხს საამქრო დაათვალიერებინე.

თავი ავწიე, კარგად ჩაცმულ ახალგაზრდების ჯგუფში გერონტი იდგა. ფეხის წვერებზე შემდგარი ერთი ციცქნა გოგო რაღაც შეკითხვას აძლევდა გერონტის.

— ყველაფერს ეს ამხანაგი გაგიმარტავთ. — დამაჯერებლად განაცხადა გერონტიმ. — მეფოლადის თანაშემწეა, ხუთი თითივით იცნობს საამქროს, — გერონტიმ გადმომხედა და თვალი ჩამიკრა. — ესენი კი მომავალი ექიმები გახლავს, — სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ღუმელებისაკენ გაეშურა.

ბრაზი ყელში მომებჯინა. ამ კვირაში ეს მეოთხე იყო: სამშაბათს მხატვრების ექსკურსიათმძღოლი ვიყავი, მომდევნო დღეს მომავალ ვოკალისტებს და პიანისტებს დავატარებდი საამქროში. ერთხელ პროფესორების მასპინძლობაც კი დამაკისრეს. ახლა კიდევ...

— ეს რა მანქანაა? — ყურში ჩამძახა ვიღაც მაღალმა ბიჭმა და ამხანაგებს გადახედა.

მოთმინებით განვმარტე კაზმის ჩამტვირთავი მანქანის დანიშნულება. მაღალი ბიჭი არ მომეშვა, რასაც კი დაინახავდა, ყველაფრის ახსნას მთხოვდა, ჩვეულებრივ ნიჩაბზეც კი მკითხა რა არისო. თავის საქციელით აშკარად თავს აწონებდა ამხანაგებს, რომლებიც თავშეკავებით იღიმებოდნენ.

— ეს რა არის? — მკითხა მაღალმა და ჯართზე მანიშნა.

— ეს გახლავთ გერმანული ფირმა — „გოლცენ-გრიმის" სპირტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახდელი აპარატი. ნაწარმი გასული საუკუნისაა და ტექნოლოგიურად მოძველებული, ახლა ჩვენ მას გადავადნობთ და ლითონი მეორედ დაიბადება. სხვათა შორის, ჩვენთან ბევრი ჯართი ჩამოდის მეორადი გადამუშავებისათვის.

— გენიალურია, გენიალური! — დაიკივლა პატარა ქალიშვილმა. სხვებმა გადაიხარხარეს. მაღალი ბიჭი დამარცხებულ მამლაყინწასავით აიფხორა.

სტუმრები რომ გავაცილე, საამქროს საჰაერო გაყვანილობის სისტემა დავათვალიერე.

— შენ რაღაც საეჭვოდ ჩხირკედელაობ. — ჰაერგაყვანილობის მორიგი ზეინკალი წამომადგა თავს.

— არაფერს არ ვაფუჭებ, ბატონო.

— ჰო, მაგრამ მესამედ თუ მეოთხედ გხედავ აქ. სულ ზომავ და იწერ რაღაცას.

— ჰაერი ბევრი გაქვთ? — ვკითხე.

— როგორ ბევრი?

— როგორ და დღეში რომ რვა ხუთდიუმიანი ონკანი გავხსნათ თითო საათით, დააკლდება მარაგს?

— ხუთდიუმიანი რვა ონკანი?

— დიახ.

ზეინკალმა საამქროს ჭერს მიაპყრო მზერა, რაღაც გამოიანგარიშა, ნიკაპი მოიქექა და წვეთია ზღვაშიო-თქვა.

— ონკანების რიცხვი რომ ოცდაათხამდე გავზარდოთ?

— მაგიც უმნიშვნელოა.

ზეინკალს მადლობა გადავუხადე, დავემშვიდობე და საამქროში ავედი. გერონტის ოთახში ჩავიკეტე თუ არა, ნახაზები გავშალე. მივდექი და ერთიანად ავაჭრელე იუზასა და ჩემს მიერ ორი კვირის განმავლობაში ნაცოდვილარი ნახაზები. ყველაფერს რომ მოვრჩი, თითქოს რაღაც ტვირთი ჩამომეცალა გულიდან.

— მეცადინეობ? იმეცადინე, იმეცადინე. — კარებში ცვლის უფროსი იდგა.

— ბატონო გერონტი, თუ დრო გაქვთ...

გერონტი მაგიდასთან დაიხარა, ნახაზებს დააკვირდა.

— რაა, ბიჭო, ეს? — მკითხა და პასუხს არ დაელოდა, ისევ ნახაზებს მიუბრუნდა. კარგა ხანს უკირკიტა, ცალ-ცალკე გადასინჯა ყველაფერი, ფანქარიც კი ამოიღო ჯიბიდან, რაღაც შენიშვნები გააკეთა, მერე წამოიწია, ბეჭებზე თავისი ღონიერი ხელები დამაწყო და თვალებში ჩამხედა.

— გაანგარიშებაში შეცდომები გაქვს, თუმცა არა უშავს, გავასწორებთ, მთავარია, რომ პრინციპში ყველაფერი სწორად გაქვს გადაჭრილი. ახლა კი მიპასუხე: რამ გაფიქრებია თაღების გადაწმენდის მუდმივი სისტემის შექმნა?

— შიშმა. — ვთქვი და ვიგრძენი როგორ გავწითლდი.

— შიშმა? — ჩამეკითხა გერონტი.

— ნამდვილად შიშმა. მე რომ თაღების გამწმენდათ არ აგეყვანეთ, ალბათ, ვერც გავიგებდი ასეთი რამე თუ არსებობდა.

— მარტო შიშით ნუ ახსნი, ბიძიკო, ყველაფერს. ვითომ შენამდე არავის შეშინებია თაღის გადმოწმენდისას? არ ვარგა ასე, მე გეტყოდი, რომ ეს სიცხადეა და არა შიში, უფრო ზუსტად კი, ეს ცხოვრების მიზანია. გმირობას და გონიერებას ცხრა მთის იქით ვუცქერით ხშირად, იგი კი ჩვენს გვერდით დგას. ასეა, ცხოვრებას გამომცხვარ პურში ვეძებთ და არა ხორბლის მარცვალში. ისე კი, ნამდვილად რომ მარცვალშია, ერთი ციცქნა მარცვალში.

— მარცვალში? — ვთქვი და ვიგრძენი, როგორ ხდება ადამიანის შეყვარება. აი ასე, უბრალოდ და ალიაქოთის გარეშე, მთელს სხეულს რომ სითბოთი და სინაზით აგივსებს. — ბატონო გერონტი, გამოვა ვითომ რამე?

გერონტიმ ღიმილით შემომხედა და თითქოს გავიგონე მისი უთქმელი სიტყვა — „კეთილო ბავშვო“.

— ჩანაფიქრი სწორია, ამის უარყოფა არ შეიძლება, იქნებ ზოგ

ერთ საკითხში შეგედაოს კიდეც, მაგრამ არა უშავს; თუ საქმე მოიგებს, დათმობაზეც წახვალ. ისე ბრძოლა მოგიწევს და მზად უნდა იყე.

— მერე, მე თუ გადამიყვანენ ღუმელზე, ბრიგადაში?

— რომელშიც ისურვებ, ამის თავდები მე ვიქნები. სამუშაოს დამთავრების შემდეგ აქ დამელოდე, ზოგიერთი დეტალი დღესვე დავაზუსტოთ, — ეს რომ თქვა, ხელი მაგრად ჩამომართვა, თვალი ჩამიკრა და ოთახიდან გავიდა.

უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი სხეულში. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ სარკის წინ ვიდექი და პირველად ვხედავდი საკუთარ სახეს.

* * *

— რა გნებავთ? — სათვალებიანმა მელოტმა კაცმა საქმიანი იერით შემომხედა და ფანქარი, აქამდე რომ ბოლოთი უკაკუნებდა მაგიდას, შეაბრუნა, წვერით უფრო წვრილი ხმა გამოსცა ფანქარმა.

— დღეისთვის დამიბარეთ, — ვთქვი და მივხვდი, რომ ბრაზი მერეოდა. — ნახაზები და აღწერილობა მოგიტანეთ ერთი კვირის წინ.

— აჰა, — ისევ შეაბრუნა ფანქარი მელოტმა, — დღეს სამშაბათია არა? გამოიარე პარასკევს.

— იქნებ, ახლა გენახათ?

მელოტმა ზანტად გაიქნია თავი, ფანქარი მაგიდაზე დადო და ორივე ხელი დააწყო ზედ.

— გადარბენაზე ხომ არა ხარ, შე კაცო? — ჩაიცინა.

— ხუთი წუთი დასჭირდებოდა მაგ საქმის გარკვევას.

— დაკავებული ვარ ახლა მე.

ტყუილი როგორ არ გამიგონია, მაგრამ ასეთ მაღალ კანჭებზე შესკუპებული სიცრუე არასდროს მსმენია.

— ვხედავ, თავის მოსაფხანად არ გცალიათ.

— უყურე ერთი ამას, რაებს მიბედავს?,

ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ გაწრიპულ კაცს ამოდენა ხმა ექნებოდა. დამცეცხლა, მაგრამ როგორ, ამიხმაურდნენ ჩაქუჩები საფეთქლებში.

— ამ წუთში მონახავთ ნახაზებს! — გადათეთრებულ თვალებში გავუყარე მზერა.

— უფროს-უმცროსი არ იცი, თუ პატრონი არა გყავს?! — ისევ დაიყვირა, თუმცა სიტყვა „თუ"-ს შემდეგ ხმა გაუტყდა და აჩიფჩიფდა.

ხმაურზე ჩასუქებული ქალი და კოჭლი კაცი შემოვიდნენ.

— დაჯღაბნიან რაღაცას, აუვარდებათ თავში და იჭყლიტე მერე მაგათ მაგიერ ტვინი, — შეჩივლა იმათ.

— დამშვიდდი, ბიძიკო, — დამიყვავა კოჭლმა.

— ამ წუთში მონახეო, მაგიც ედისონი გამომიჩნდა, — არ ცხრებოდა მელოტი.

— ასე არ შეიძლება, გენაცვალე, სახელმწიფო დაწესებულებაში, — დამარიგა ქალმა.

— მაშ, როგორ შეიძლება, ქალბატონო, — რაც შემეძლო ზრდილობიანად შევეკითხე მე.

სახტად დარჩენილმა ქალმა განცვიფრებული მზერა მომაპყრო.

— ა, უყურეთ უზრდელია, კაცო, რა უნდა ელაპარაკო, — საოცარი სიმშვიდით დაასკვნა მელოტმა.

— დამიბრუნეთ ჩემი ნახაზები და აღწერილობა.

— გამოგიყვანენ კაცს მოთმინებიდან, გადაგრევენ, მოგშლიან, — შემრიგებლური კილოთი თქვა მელოტმა.

კაცი და ჩასუქებული ქალი გავიდნენ. კაცი თავს აკანტურებდა, მგონი კოჭლობის გამო.

— დამიბრუნებთ?

— აქ შემოსული ნახაზები პატრონს არ უბრუნდება, — კვლავ აუწია ხმას.

— აბა, რა ვქნა მე?

— გადახტი ფანჯრიდან.

შემოთავაზებული წინადადება, რა თქმა უნდა, არ მივიღე, ისევ გავუმეორე თხოვნა.

მელოტი წამოდგა, ჯერ იმ მაგიდის უჯრები მოჭქა, რომელთანაც იჯდა, კედელთან მიდგმულ კარადაშიც შეიჭყიტა, მერე მეორე მაგიდის უჯრებს აუყენა ბრახუნი.

— სად ეშმაკში წავიდოდა?

— აქ ძალიან ცხელა და ალბათ აგარაკზე გაისეირნა.

— ხუმრობისთვის მცალია, თუ იცი? — გაწყრა. მაგიდასთან მივიდა და დაჯდა. — ხვალ კიდევ დავძებნი, თუ ვერ ვიპოვე, არც მაგით დაშავდება რაიმე. როგორც მახსოვს, ნახაზებიც და აღწერილობაც უცადი ხელით იყო შესრულებული. მომიტანეთ, ძველი პირები გექნებათ, ერთად დავსხდეთ და გავაკეთოთ — თანაავტორები ვიქნებით. ჰო, მართლა, რა ქვია გამოგონებას?

— გამოგონებას რაც ქვია, თქვენი საქმე არ არის, მხოლოდ თქვენს წინადადებას, როგორც ვიცი, ქურდობას ეძახიან.

— როგორ გეკადრებათ, ახალგაზრდავ, — ნემსის ყუნწში გაძვრა მელოტი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ვთქვი და კარი გავიჯახუნე.

— რა ჰქენი? — საამქროს შესასვლელში დამხვდა რეზო. — რა გითხრეს?

— მეხუთე სართულიდან რომ უპარაშუტოდ გადმოხტეს კაცი, რა მოუვა?

— ჰო, კარგი. მართლა რა გითხრეს?

ავდექი და მოვუყევი, რაც მითხრეს. რა თქმა უნდა, თანაავტორობაზე კრინტიც არ დამიძრავს.

— ბიუროკრატიზმი სახეშეცვლილი კონტრრევოლუციაა, — რეზოსგან არასგზით არ მოველოდი ასეთ სიბრძნეს.

— კარგად კი მღერი, აი! — გავუცინე.

— მაგის მეშინოდა მე, — ნაღვლიანად თქვა რეზომ. — მაგრამ არა უშავს, ამხანაგები დავიხმაროთ, ვიბრძოლოთ.

— ვიბრძოლოთ! — კვლავ გავიღიმე მე...

* * *

— აი, ესაა ვეფხვაძე.

— ვეფხვაძე ხარ შენ?

მოვბრუნდი. ჩემს წინ საამქროს უფროსი და ჯაბა იაქაშვილი იდგნენ.

— დიახ, ბატონო.

საამქროს უფროსი ახალგაზრდა იყო, კოხტად ეცვა და რაღაც თვითდაჯერებული კაცის იერი დაჰკრავდა, რითაც ჩვენი ფიზიკის მასწავლებელს მაგონებდა.

— კარგია, — თავშეკავებული ღიმილით თქვა მან, — საამქროში მისვლაც ვერ მოასწარით და უკვე გამოგონებებს შედგომიხართ.

უცბად ვერ ჩავწვდი ნათქვამის აზრს.

— მეც ასე ვეუბნები, — თქვა რეზომ, — ათ წელიწადს რომ მესვეტა თავლები, მაგას ვერ მოვიფიქრებდი.

— სწავლობ სადმე? — მკითხა იაქაშვილმა.

— არა, ბატონო.

საამქროს უფროსმა კვლავ ღიმილით შემომხედა.

— ჩვენთან ბატონობით ლაპარაკობ და პაიკაძისათვის კი გიგინებიათ? — თქვა.

— ვისთვის? — გაიკვირვა რეზომ.

— რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროს ინჟინრისთვის.

— არავისთვის არ მიგინებია მე.

— პაიკაძე ტყუის, აბა? — ისევ გაიღიმა საამქროს უფროსმა და კვლავ ყურადღებით მივუხედი, დაიჯერა თუ არა ჩემი ნათქვამი.

— გინება ტყუილია, ეს ისეთი ოჯახიდან...

რეზოს ხისლანჩიანი ფეხსაცმელი დავალგი ფეხის წვერზე და ენ მოიკვნიტა. გაფრთხილებული მყავდა, მამაჩემის ვინაობა არ ეხსენებინა ქარხანაში.

— კარგით, კარგით, — თქვა საამქროს უფროსმა. — ხვალ ათ საათზე ჩემთან გამოცხადდები. პაიკაძეც მოვა. მანამდე კი საქმეს მიხედე. შენც! — უთხრა რეზოს.

გაგვეცილდნენ თუ არა, იფეთქა რეზომ. გაზიანი წყლის ჯიხურთან ვიტალი შულგინი შემოგვიერთდა. საქმის ვითარება რომ გავაცანით, პარტბიუროს მდივანთან წასვლა გვირჩია.

**(დასასრული იქნება)**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეტა ასე იყოს ყველგან!



**მოწინავე მწველავი ე. როვსკაია**

თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა ნანული გურგენიძე. აქვე ამოირჩია გულისტოლი და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მასთან ერთად გაგრაში გაემგზავრა.

ორ ახალგაზრდა სპეციალისტს სიხარულით შეხვდა გაგრის მეცხოველეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვასილ ძნელაძე.

ნანულის მეუღლე მეურნეობის მთავარ ვეტექიმად დანიშნეს, თვითონ კი დედობის მოლოდინში მეურნეობის საქმიანობის გაცნობას შეუდგა.

რაჭაში გაზრდილ ქალს აოცებდა ჰოლანდიური ჯიშის შავ-თეთრად აჭრელებული ტანდიდა ძროხები, დიდ-დიდი ცურებითა და ზედმეტად პატარა ცერებით (ზოგს ექვსი ცერი აქვს). არანაკლებ უკვირდა ძია ვასოს (ასე ეძახიან დირექტორს) ენერგიული შრომა. აქ თურმე, სადაც ახლა ფერმაა გაშენებული, უზარმაზარი მწვანე ჭაობი ყოფილა, კოღოების და ბაყაყების სანავარდო, ძია ვასოს ხელმძღვანელობით ამოუშრიათ ეს ჭაობი და ნაჭაობარზე ძროხების სადგომები აუშენებიათ, მერე ეს ლამაზი ძროხები შეუძენიათ...

მალე გოგონა ეყოლა ნანულის, ძია ვასომ ოროთახიანი ბინა გამოუყო ახალმოშენე ბედნიერ ოჯახს. ერთი წლის შემდეგ ნანულიმ კეთილმოწყობილ ბაგა-ბაღში მიიყვანა ბავშვი და მუშაობა დაიწყო ძროხების ხელოვნურად გამრავლების პუნქტში მთესლავ-ტექნიკოსად.

ფერმიდან ცოტა მოშორებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება.

— სამოთახიან ბინაში გადავლენ, ოღონდ იმ პირობით, თუ ორ შვილს მესამეს მიუმატებენო, — ღიმილით ამბობს მეურნეობის დირექტორი.

აპრილის ყვავილებიანი კაბა ეცვა გაგრას. ლენინურ შაბათობაზე მიიჩქაროდნენ გაგრელები, ნანული რომ გავიცანი.

ნანული და მისი სანიტარი ქენია ფედოტოვა პუნქტში ტრიალებდნენ. დაესუფთავებინათ, დაეწკრიალებინათ იქაურობა. ორი სანაშენე, ცხვირში რგოლგაყრილი შავ-თეთრი ბუღა რკინით შემოკავებულ ეზოში დაბორიალობდა.

— ეს სანაშენე ბუღები ლატვიიდან ჩამოვიყვანეთ, — ხელს იშვერს ფარდულში მიბმულ ბუღებზე — ეს ორი კი, მე რომ მოვედი, აქ დამხვდა, — მანიშნებს ეზოში გაშვებულებზე.— ძირითადი მაწარმოებლები აქა გვყავს. გვაქვს ლაბორატორია, ვუვლით 400 ძროხას. გეგმით ყოველ ას სულზე უნდა გვყავდეს 82 ხბო, მივიღეთ 91.

ვიცით, რომელი ფური როდის შობს ხბოს, და ათი დღით ადრე გადაგვყავს სამშობიაროში.

— ეს საავადმყოფოა, — თეთრად შეღებილი კარი შეაღო ნანულიმ, აქ განსაკუთრებული სისუფთავეა. ჯერჯერობით ერთი ფური აწევს მხოლოდ. — მან უდღეო ხბო შობა, ამიტომ ახლა ვმკურნალობთ, ჩვენი მიზანია: ყოველ ას ფურზე ასი ხბო მივიღოთ.

შევედით სახბორეში. შავჭრელი ხბოები იასამნისფერ პატარა ენებს გვიყოფენ.

— თითო ხბო დღეში ექვს ლიტრ რძეს სვამს. პირველ დღეებში საწოვარათი ვასმევთ, მერე კი ვედროში ვუსხამთ და ისე სვამენ.

— ეს ჩვენი მოწინავე მეხბორეა! — მაცნობს ნანული ვალია ივანოვას. იგი 72 მოზარდს უვლის. თავის დროზე აქვთ ხბოებს რძე, თივა, წყალი. სისუფთავე ხომ კარგ დიასახლისსაც შეშურდება!

ვალიამ წელს ყოველდღიური ნამატი ცოცხალი წონა გეგმით გათვალისწინებული 600 გრამის ნაცვლად, 703 გრამი მიიღო, რითაც მადლობა და ფულადი პრემია დაიმსახურა. სხვა მეხბორეებიც მონდომებით მუშაობენ, რადგან ანაზღაურება კარგია. ყოველ თვე სწონიან ხბოებს და თუ მეტია ნამატის ცოცხალი წონა, მეტია ხელფასიც. თითოეული მეხბორე 200 მანეთამდე იღებს თვეში (პრემიის გარდა). აქ ექვს თვემდე უვლიან ხბოებს, მერე კი სახარეებს და ულამაზოებს სახორცედ აბარებენ. ლამაზ საფურეებს კი სანაშენე მეურნეობა თავისთვის იტოვებს.

— აქ ყველა მეწველი ფურია, — თქვა ნანულიმ. მეწველთა ბაკში რომ შევედით, — თითოეული მათგანი დღეში 26 ლიტრ (ზოგი მეტსაც) რძეს იწველის.

— ასეთი ძროხები არავის არა ჰყავს. სად არ ვყოფილვარ, მსგავსი არსად მინახავს, — მეუბნება სიამაყით მეორე კარიდან შემოსული პატივცემული ვასილი. ეს არ არის თავის ქება, სინამდვილეა.

დაკრიალებულ და დასუქებულ ძროხებს კარგი მომვლელის ხელი ატყვიათ. მექანიზებული სადგომი, სასმელი წყალი, საჭმლით სავსე ბაგა, მექანიკური წველა და გასუფთავება წარმატებების საწინდარია.

მართალია, მომვლელი ქალები დილა-უთენია დგებიან, მაგრამ მძიმე მაინც არ არის მათი შრომა. გაგრელებს დიდი პასუხისმგებ-

ლობა აკისრიათ, დილის ექვსი საათისათვის რძე ჩამოწველილიც უნდა იყოს და სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილიც.

ამიტომაც ძალლონეს არ იშურებს ეკატერინე რავსკაია. მან პირველ კვარტალში 24 მეწველი ფურიდან, გეგმით გათვალისწინებულ 224 ცენტნერის ნაცვლად, 332 ცენტნერი რძე ჩამოწველა.

— ცოტა დანახარჯი და მეტი პროდუქცია, აი ეს არის ჩემი დევიზი! — აცხადებს ქალი სიამაყით. მის გვერდით არიან მწველავები ნინო ტურლუკოვა-თურმანიძისა (მან წლის გეგმა 218 პროცენტით შეასრულა), თამარ აფანასიევა, რომელიც თავისი მაჩვენებლებით წარდგენილია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, როგორც რძის მექანიკური წველის ოსტატი.

მეურნეობაში ძირითადად ქალები შრომობენ. მწველავები, მეხბორეები, მომვლელები ისინი არიან. მათ მიაღებინეს მეურნეობას საქართველოს სს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საიუბილეო სიგელები ხორცისა და რძის დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. თვითონ კი პრემიის სახით 2.800 მანეთი ერგოთ. მათი თავდადებული შრომის შედეგად გახდა მეურნეობა წითელი დროშის ორდენოსანი და ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს.

მეცხოველეობის რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, რომელიც მარტში მოეწყო, გაგრის სანაშენე მეურნეობას პირველი ადგილი ხვდა. გაგრელებმა პირველ კვარტალში რძის წარმოება შარშანდელთან შედარებით 353 ცენტნერით გაზარდეს, ხორცის დამზადების გეგმა 118 პროცენტით შეასრულეს.

გაგრის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობასთან. შეჯიბრების შედეგები თვალსაჩინოა მეურნეობის ტერიტორიაზე შესვლისთანავე. შესასვლელის ზემოთ ჰკიდია წითელი დროშა, რომელიც გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში ზევით იწევს. ყოველ კვარტალში იწევა მაღლა გაგრელების დროშა.

სოცშეჯიბრებაა გაჩაღებული მწველავთა და მომვლელთა შორისაც, ყოველ ათ დღეში ჯამდება შედეგები. გამარჯვებული იღებს დროშას და ფულად პრემიას. წელს მეურნეობამ ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის სახით გასცა 20.000 მანეთი.

დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტების დაოსტატებას. ისინი იგზავნებიან კვალიფიკაციის მისაღებად. ლენინგრადში აიმაღლა კვალიფიკაცია ნანული გურგენიძემაც.

გეგმები დიდი აქვს მეურნეობას. მომავალში ახალი კომპლექსის აშენებას აპირებენ 1.000 მეწველი ფურისათვის.

რა კარგი იქნებოდა, ასეთი სანაშენე მეურნეობა ბევრგან იყოს საქართველოში!

**ელისო ბილანიშვილი,**
გაგრა.



ნანული გურგენიძე



მეხბორე ვალია ივანოვა

# ნუ გეშინიათ ძველი ქოშებისა

„დიდად პატივცემულო კოლეგავ!

...თქვენი ნაწარმოები პოლონურად ასე დავასათაურეთ: „ვისაც ეშინია ძველი ქოშებისა“. იგი გდინიას მუსიკალურ თეატრში დაიდგა. ამჟამად ამ თეატრის რეპერტუარშია და ბავშვთა შორის უდიდესი წარმატებით სარგებლობს.“

ესაა ადგილი ბარათიდან, რომელიც კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა მიიღო პოლონეთიდან. ბარათს ვარშავის ოპერეტის მთავარი დირიჟორი, კომპოზიტორი ვლადისლავ სლოვინსკი აწერს ხელს.

მაშ, ქართველი კომპოზიტორი ქალის მხიარული, მზიანი ოპერეტა „ბაბაჯანას ქოშები“ პოლონელმა ბავშვებმაც მოისმინეს და შეიყვარეს. ქართული ოპერეტის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა —ჩვენი ოპერეტა საზღვარგარეთ დაიდგა.

და, რაც მთავარია, თეატრის ხელმძღვანელებს, მსახიობებს და მთელ კოლექტივს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რათა ამ სპექტაკლთან ერთად, ნორჩი მაყურებელი ნაწილობრივ მაინც გაცნობოდა ქვეყანას, საიდანაც მოვიდა ეს ოპერეტა. დიდი მზრუნველობითაა შედგენილი პროგრამა. აქ ბავშვებისათვის, შეძლებისდაგვარად, მოთხრობილია საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ, თბილისის შესახებ, სადაც პოეტმა ი. გრიშაშვილმა ბავშვებისათვის გადაამუშავა ალმოსავლური მოტივი — ამბავი ბაბაჯანას ქოშებისა. „ძვირფასო ბავშვებო, 9 წლიდან 99 წლამდე! ნუ გეშინიათ ძველი ქოშებისა, იმიტომ, რომ აქ ძველმანში კი არ არის საქმე, — საქმე საუკუნეებით ცნობილ ჭეშმარიტებაშია: ტანსაცმელი კი არ ამშვენებს ადამიანს, — პირიქით!“.

„ჩემი არტისტული მოგზაურობიდან ყველაზე დიდად ვაფასებ მოგზაურობას საქართველოში, — წერს პროგრამაში სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე, — საქართველოს ცა ენით გამოუთქმელი ფერისაა. საერთოდ იგი ცისფერია, მაგრამ ეს ცისფერი გამოირჩევა ჩვენი ცისაგან!...“ და ასე, ყოველ პატარა შენიშვნაში, განმარტებაში ჩანს ჩვენი ხალხის, საბჭოთა საქართველოს პატივისცემა. ამავე დროს ჩანს ის დიდი პასუხისმგებლობა, რითაც თეატრის მთელი კოლექტივი მიუდგა ქართული საბავშვო ოპერეტის დადგმის საქმეს. მოსაწონია ქართველი კინორეჟისორის, პოლონელთა რძლის ელენე ამირაჯიბი-სტავინსკას მიერ შესრულებული თარგმანი. კარგები არიან როგორც მთავარი, ასევე ეპიზოდური როლების შემსრულებლები. კოსტიუმები, დეკორაცია, ყოფა, დეტალები, — ამბობენ, დიდი ერთგულებით არის შესრულებულიო. კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა რედაქციაში უხვად მოიტანა ამ დადგმის მასალები, ფოტოსურათები სცენებიდან. და, რაც მეტად ორიგინალურია; ბაბაჯანას მიერ გამოცხადებული კონკურსი სახელწოდებით „თამაში თეატრალური მხატვრისა“. ეს უკვე სპეციალურად პატარა მაყურებლებისათვისაა განკუთვნილი. „იმისათვის, რომ თქვენ ბაბაჯანას თავგადასავალი გენახათ, ბევრმა ნიჭიერმა უფროსმა გამოიდო თავი: კომპოზიტორმა, ლიტერატორმა, რეჟისორმა, დირიჟორმა, მსახიობებმა, გუნდმა... ბოლოს მოვიდა მხატვარი, დახატა მშვენიერი დეკორაციები, კოსტუმების ესკიზები... ნახატები მოხვდნენ თეატრალურ სახელოსნოში, დურგლებთან, მექანიკოსებთან, ხარაზებთან, მკერავებთან და ასე შობადდა ის, რასაც დღეს სცენაზე ხედავთ. ბავშვებო, იქნებ, როდისმე რომელიმე თქვენგანი თეატრალური მხატვარი დადგეს? ასე ფიქრობს ბაბაჯანაც, რომელიც თავის ხელადაში მალავს საჩუქარს — საუკეთესო პატარა თეატრალური მხატვრისათვის — იმისათვის, ვინც კარგად შეღებავს აქ მოთავსებულ სურათს...“ სურათზე ხომ მთელი სცენაა ბაბაჯანას ქოშებიდან. და, ამრიგად, სპექტაკლის ყოველ ნორჩ მაყურებელს შეეძლო შეეფერადებინა ეს სცენა, მიეწერა გვარი, სახელი, წლოვანება, და გაეგზავნა მისამართით — გდინია, მუსიკალური თეატრი, ბემის ქ. № 26.





ალბათ, ამ კონკურსმა თავისი შედეგი გამოიღო, ალბათ, რამდენი პატარა პოლონელი გოგონა ან ბიჭუნა გახდა ბაბაჯანას კონკურსის პრიზიორი.

და ისინი ხომ არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ქართულმა, მხიარულმა და მზიანმა ოპერეტამ ააფერადა მათი ბავშვობის ერთი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცენები სპექტაკლიდან



# თამარ დაფქვიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ დაფქვიაშვილი... საინტერესო და მრავალმხრივ ნიჭიერი მუსიკოსი ქალი. ჯერ კიდევ კონსერვატორიის მისაღებ გამოცდებზე მიიპყრო დიდი ქართველი კომპოზიტორის, იმ ხანად თბილისის კონსერვატორიის დირექტორის — ზაქარია ფალიაშვილის ყურადღება. მისი შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და სიბეჯითე იმ წლებშივე ყველასათვის შესამჩნევი გახდა. ეს ერთგვარად ოჯახურადაც იყო განპირობებული — თამარ დაფქვიაშვილი მუსიკალურ გარემოში აღიზარდა: მისი მკვიდრი ბიძა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოში პროფესიული მუსიკალური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ხარლამპი სავანელი გახლდათ, კარგად მღეროდა თამარის ძმა გოგი დაფქვიაშვილიც.

იმ წლებში თბილისს ცნობილი პიანისტი ეგონ პეტრი ეწვია. მას, თბილისის კონსერვატორიის ნიჭიერ სტუდენტთა შორის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიანტი თამარ დაფქვიაშვილიც წარუდგინეს. ეგონ პეტრი მოხიბლა მომავალი მუსიკოსის შესრულების მანერამ, ნაწარმოებების ნიუანსებში წვდომის მადლმა და ტექნიკურმა ხერხებმა. თამარი დღესაც ინახავს იმ დღეების მოსაგონარს — ეგონ პეტრის მიერ ნაჩუქარ ნოტებს წარწერით: „ჩვენი გაკვეთილების სახსოვრად. საუკეთესო სურვილებით".

1928 წელს გაზეთ „კომუნისტში" კომპოზიტორი კ. მეღვინეთუხუცესი წერდა: „უეჭველია მასში ბუნებრივადაა ჩანერგილი ვირტუოზო თვისებები, შეერთებული მშვენიერ მუსიკალობასთან, ამას ამტკიცებს მისი დაკვრით წარმოშობილ ბგერათა სისუფთავე, ელფერი, რითმული სიმტკიცე, მეტყველება, დინამიური გაქანების შეგრძნება, მოძრავი, დაუღალავი მაჯა..." ეს ყველაფერი კონსერვატორიის სტუდენტთა პირველი სიმფონიური კონცერტის მონაწილეს — თამარ დაფქვიაშვილს ეხება, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ბეთჰოვენის მეხუთე კონცერტი. კონცერტს დირიჟორობდა კონსერვატორიის სტუდენტი, მომავალში ცნობილი კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი. თამარ დაფქვიაშვილი დღითიდღე იზრდებოდა როგორც პიანისტი, არაერთ კონცერტზე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. აქედანვე შეირჩა მისი შემდეგი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა კამერული ანსამბლის დარგით.

ბევრი რამ შესძინა თამარის დაოსტატებას ლენინგრადის კონსერვატორიაში გატარებულმა წლებმა, პროფესორ ლეონიდ ნიკოლაევის კლასში მეცადინეობამ, პარალელურმა მეცადინეობამ პროფესორ ელენე ბრიკთან (კამერული ანსამბლის შესრულების დაოსტატებაში). თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ლენინგრადში ასახელა მშობლიური კონსერვატორია, თავისი კლასი, ამაგდარი პროფესორი ანა თულაშვილი; აქვე გადაწყვიტა, რომ მუსიკალური მოღვაწეობა კამერულ ანსამბლში განეგრძო. ლენინგრადიდანვე ჩამოიტანა საპატიო მეორე პრემია კონკურსიდან: „რომანტიკოსთა საუკეთესო მხატვრული შესრულებისათვის".

1935 წლიდან თამარი უბრუნდება მშობლიურ კონსერვატორიას და აქედან იწყება მისი საინტერესო საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მუსიკისმცოდნეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „თ. დაფქვიაშვილი შესანიშნავად და ფაქიზად გრძნობს პარტნიორის სუნთქვას. მის დაკვრას ახასიათებს მშვენიერი მუსიკალობა, ინტერპრეტაციის პრობლემების ღრმა გააზრება, დიდი საშემსრულებლო კულტურა და მუსიკალური ერუდიცია, რაც მის დაკვრას ანიჭებს შინაარსიანობას და მრავალპლანიანობას". თამარის საკონცერტო პროგრამებს მუდამ ახასიათებს ერთი მთავარი — ესაა მისწრაფება სიახლისაკენ. ამიტომ მის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჩვენში იშვიათად შესრულებულ, ან ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწარმოებს.

ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას კარგად ახსოვს 1935 წელს თამარისა და ლენინგრადელი მევიოლინეს სერგეი პანფილოვის მიერ გამართული სონატური საღამოები. მაშინ საქართველოში პირველად აჟღერდა რაველის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. მას შემდეგ თამარ დაფქვიაშვილი მრავალი კონცერტით წარსდგა მუსიკალური საზოგადოების წინაშე. მან საქართველოში პირველად შეასრულა დვორჟაკის, ბარტოკის, სტოიანოვის, ფარკაშის, რუზუს, კაპრის, კოპლანდის, ნგუენ დიკტოანის და სხვათა ნაწარმოებები. მის რეპერტუარში მუდამ დიდი ადგილი ეთმობა ქართველ და მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა ქმნილებებს.

თამარ დაფქვიაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუშაობს კამერული ანსამბლის კათედრაზე, სადაც პროფესორის მოვალეობას ასრულებს. იგი მთელი არსებით ილწვის, რათა ახალგაზრდა მუსიკოსებს მისცეს მაღალი მუსიკალური კულტურა, განუვითაროს ფაქიზი გემოვნება, შეაჩვიოს დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას. მან ქართველ მუსიკოსთა მთელი პლეადა აღზარდა.

თამარ დაფქვიაშვილმა ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილების შედეგად შექმნა პირველი კაპიტალური ნაშრომი: „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი." ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და მუსიკალურმა წრეებმა. თამარი დღესაც ინტენსიურად განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას.

ვუსურვოთ მუსიკოსს ქალს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს — თამარ დაფქვიაშვილს მრავალი გამარჯვება ქართული მუსიკის დიდ გზაზე.

**ნინო ჩიხლაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
**ნონა მუსხელიშვილი,**
მუსიკისმცოდნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომხმარებელი კმაყოფილია

რუსთავში, ხალხთა მეგობრობის გამზირზე მდებარეობს თვითმომსახურების სასურსათო მაღაზია № 161 (დირექტორი ნინო შარაშენიძე). იგი არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩადგა მშრომელთა სამსახურში. და უკვე საუკეთესო მაღაზიად არის აღიარებული.

აქ თავიდანვე მტკიცედ დაინერგა საბჭოთა ვაჭრობის პროგრესული ფორმები და მეთოდები. მომხმარებელი თავისი სურვილისა და გემოვნების მიხედვით ირჩევს სურსათს. სავაჭრო დარბაზის ბოლოს, თვალსაჩინო ადგილას შეკვეთების მაგიდაა. მარტო წინასწარი შეკვეთებით შარშან დ. წელს 12.206 მანეთის საქონელი გაიყიდა.

— ჩვენი მიზანია, — ამბობს დირექტორი ნინო შარაშენიძე, — გავაუმჯობესოთ მშრომელთა კულტურული მომსახურება. „რუსთავვაჭრობის“ დირექციამ გამოგვიყო სპეციალური ავტომანქანა შეკვეთილი საქონლის ბინაზე მისატანად. შეკვეთებს ვიღებთ ტელეფონითაც, ანდა უშუალოდ საწარმოო ობიექტებიდან და მშენებლობებიდან.

ამიტომაა, რომ აქ ყოველთვის დიდძალი მომხმარებელია და გადაჭარბებით სრულდება საქონელბრუნვის გეგმები. მაღაზიის კოლექტივმა აქ ჯერ კიდევ პირველი დეკემბრისათვის გაანაღდა საქონელბრუნვის წლიური გეგმა. მთლიანად საიუბილეო წელს მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 172.540 მანეთის საქონელი. ამავე პერიოდში მიღებულია 18.070 მანეთის ზეგეგმიური მოგება. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის გზით შრომის ნაყოფიერება 0,8-დან 2,7 პროცენტამდე გაიზარდა. კოლექტივმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით დაჯილდოვდა.

მაღალი ჯილდოს პასუხად მაღაზიის მუშაკები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ ბრძოლას მიღწეულის განსამტკიცებლად და ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს 58 ათასი მანეთის საქონელი, რაც 13 ათასი მანეთით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყვიაზე ვაჟები

ჩემს მაგიდაზე ბარათის ფოტოპირი დევს. ახლა იგი დაცლილ ვაზნას მაგონებს და მაინც მზარავს...

ქალი, რომელმაც ეს ბარათი მომიტანა, ჩემს პირდაპირ ზის და ფანჯრებიდან შემოჭრილ ბინდში, მთლად დაპატარავებულად მეჩვენება. მან თავისი სათქმელი მოათავა და მძიმე საფიქრალად დამიტოვა...

ამ „სავაზნემ", ჩემს მაგიდაზე რომ ძევს, ორი ახალგაზრდა სიცოცხლე შეიწირა. იცით, რა ძვირფასია ორი ახალგაზრდა სიცოცხლე? ორი დამცველი სამშობლოსი, ორი ბურჯი მომავალი ოჯახისა, ორი მამა მომავალი შვილებისა, ორი ჯანლონით სავსე ადამიანი, რომლებმაც ის იყო ფეხი შედგეს ცხოვრებაში, რომ ეხარათ, ჰყვარებოდათ, ეშენებიათ...

ერთი მათგანი ახლა მიწაში წევს. მეორე, — ვისთვისაც ეს „ტყვიები" გამზადდა, შორეულ ჩრდილოეთში იხდის სასჯელს, თუმცა იმ დანაშაულის „მოხდა" შეუძლებელია, შეუძლებელია, ყველაფერი იმის შემდეგ, რაც იყო, ოდესმე მშვიდად, წელში გამართული დაუბრუნდე ჩვეულებრივ ცხოვრებას.

გარეთ აპრილია და გულისტკივილით ვფიქრობ, რომ ის, ვინც აღარაა, ველარასოდეს ნახავს გაზაფხულს, მეორე კი... მისთვისაც სამუდამოდ დაკარგა სურნელება და ფერადოვნება ყველა აპრილმა.

ჩემს პირდაპირ ჭაღარა დედა ზის და ოთახში ჩამოწოლილი ბინდიდან გასცქერის შორეულ ჩრდილოეთს. იქ მისი შვილია, წვალებით გაზრდილი შვილი...

მძიმე ყმაწვილქალობა არგუნა ამ ქალს ბედმა. ქმარი რომ დაკარგა, ორი პატარა შერჩა ხელზე და, იმ დღიდან, იმ ორ ბიჭს დედობასაც უწევდა და მამობასაც.

მაინც რამდენი საფიქრალი აქვს მარტოხელა ქალს, ბიჭების დედას. რამდენ შიშსა, იმედსა თუ უიმედობაში პატარების საწოლთან თეთრად გატეხილი ღამე. შემდეგ, რაც დრო გადის, პატარებთან ერთად იზრდება საზრუნავიც, პასუხისმგებლობაც, შიში და ღელვაც... და ქალი წელში წყდებოდა, რომ ბიჭებს უმამობა არ დატყობოდათ. უმცროსი, მაინც, გულჩათხრობილი იზრდებოდა. ამიტომ, დედას განსაკუთრებით ებრალებოდა. შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც ვაჟმა ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ მოეწყო. ყველაზე დიდი სიხარული კი მისი დაქორწინებით განიცადა.

ქორწილი, მილოცვა, დალოცვა, შვილრძალის სამოგზაუროდ გასტუმრება...

ახლაც მის თვალწინაა ბიჭის მომღიმარი, ბედნიერებით გაშუქებული სახე — ვაგონის სარკმელთან მდგარი, საყვარელ ქალზე ხელგადახვეული რომ შემოსცინოდა დედას, თითქო ეუბნებოდა: ახლა ხომ მაინც დამშვიდდები, მოისვენებ, გაიხარებო.

მატარებელი რომ დაიძრა, დაიძრა კი არა, თვალს რომ მიეფარა, კიდევ ხელს უქნევდა შვილ-რძალს და ფიქრით მისძახოდა: თქვენ გენაცვალეთო, ფრთხილად იყავითო, რამე ფათერაკს არ გადაეკიდოთო, მშვიდობით დამიბრუნდითო და საერთოდ ათას რამეს, გამაფრთხილებელსა და საალერსოს.

სადგურიდან შინ რომ დაბრუნდა, მართალია, ძალზე დაღლილი იყო, მაგრამ იმ ღამესაც რული არ მიკარებია. მაინც რა არ აძინებდა: დაღლილობა, სიხარული, მოგონებები, თუ ყველაფერი ერთად? ან იქნებ, წინათგრძნობა? თუმცა, რომელი დედაა ოდესმე დამშვიდებული! დედას ყოველთვის ეშინია, რადგან ქვეყნად არავის აღუნუსხავს, რამდენი შრომა და წვალება სჭირდება შვილის აღზრდას. არც ის აღუნუსხავს ვინმეს, რამდენ დედას გაცუდებია ეს შრომა და წვალება, იმედი და ოცნება...

იმ უძილო ღამეს დედა ბევრს ედავა თავის იჭვიან ორეულს: რა გაშინებს, რა გაღელვებს, მადლობა ღმერთს, ბიჭი ფეხზე დადგა, ოჯახიც შექმნა, ახლა ბედნიერია საყვარელ ქალთან და მეტი რაღა გინდაო, მაგრამ...

შემდეგ კი... შემდეგ ყველაფერი ამ ბარათით დაიწყო. მოგზაურობიდან დაბრუნებულს, მის ვაჟს, სამსახურში ეს ბარათი დაახვედრეს — ვიღაცას მიეტანა და დაეტოვებინა მისთვის გადასაცემად. და... თითქო უხილავმა ხელმა ავტომატის სასხლეტს გამოსწიაო — ტყვიები ზუზუნით წამოვიდა... ეს შენ, გაუხარელო ბავშვობა და სიყმაწვილევ! ეს თქვენ, ახალგაზრდულო სიამაყე და თავმოყვარეობავ! იმედო, ოცნება, სიყვარულო, ბედნიერებავ!

ბიჭი გაოგნებული დასცქეროდა საშინელებით დამუხტულ ბარათს, ბარათს თუ

---

მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დასაწყისში მაღაზიის კოლექტივმა ვალდებულება აიღო, ყოველთვიურად გეგმის გადაჭარბებით მომხმარებელს მიჰყიდოს 10.000 მანეთის საქონელი, წლიური დავალება გაანაღდოს დეკემბრის შუა რიცხვებისათვის, უფრო აამაღლოს მომსახურების კულტურა.

კოლექტივის წარმატებებს მნიშვნელოვნად განაპირობებს გამყიდველთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგები ყოველთვიურად ჯამდება. გამარჯვებულებს საჯაროდ გადასცემენ ვიმპელს — „თვის საუკეთესო გამყიდველი". მაღაზიის კოლექტივის მუშაობის პრინციპია: „არცერთი მომხმარებელი არ გაუშვეთ უკმაყოფილო!" „მტკიცედ დაიცავით საბჭოთა ვაჭრობის წესები!" და სხვა.

მაღაზიაში ინახება წინადადებათა წიგნი. მის ფურცლებზე მომხმარებლები მაღაზიის თანამშრომლებს ულოცავენ დამსახურებული ჯილდოს მიღებას, ამასთან, კულტურული მომსახურებისათვის გულითად მადლობას გამოთქვამენ სექციის გამგეების — ლილი ჯავახიშვილის და ლეილა ბალაშვილის, ადმინისტრატორების — მერი აბესაძის, ნანა ჯაგაშვილის, ნაზი ლომიძის, მოლარე-კონტროლიორების — როზა კეკელიძის, მარგო კასოევას, მარია მოსკვიჩოვას, დოდო მიქელაძის, მზია ბიგანაშვილის და სხვათა მიმართ.

უკვე ერთი წელია მაღაზიასთან გახსნილია სკოლა, რომელსაც ნინო ჭარაშენიძე ხელმძღვანელობს. სკოლა-მაღაზია ამზადებს საბჭოთა ვაჭრობის ადმინისტრატორებს, მოლარე-კონტროლიორებს, კონსულტანტებს, ღღეისათვის უკვე გამოშვებულია ორმოცამდე კურსდამთავრებული, რომლებიც თვითმომსახურების ტიპის სხვადასხვა მაღაზიებში მუშაობენ.

აქ ხშირად გაიგონებთ კმაყოფილ მომხმარებელთა მადლობის სიტყვებს:

— მაღაზიაში არა მარტო სურსათის სიუხვე მიზიდავს, არამედ მომსახურების მაღალი კულტურაც, — ამბობს ბუღალტერი გალინა მიქავა, ამ ვე აზრის არიან № 7 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგი ანტონინა პეტრუხინა, დიასახლისი ნადეჟდა ჩუბი და სხვები. მომხმარებელთა ერთი ნაწილის სურვილია გაუმჯობესდეს ბავშვთა საკვები და დიეტური პროდუქტებით მაღაზიის მომარაგება, მეორენი მოითხოვენ, რომ მაღაზიაში ყველა საქონელი, განსაკუთრებით კი ნამცხვრები და სხვა ტკბილეული, დაფასოებული და შეფუთული იყოს.

საერთო საუბარში მაღაზიის თანამშრომლებიც იღებენ მონაწილეობას, ისინი თავის მხრივ აუცილებლად მიიჩნევენ, რომ საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მაღაზიის კოლექტივს მოსახლეობაც ენერგიულად ამოუდგეს მხარში.

**ე. ალავიძე,**
დიასახლისი.
**თ. სიუხაშვილი,**
გაზეთ „სოციალისტური რუსთავის". თანამშრომელი.

ბარათებს, რომლითაც მის ახალგაზრდა ცოლს აბუჩად იგდებდნენ, ამასხარავებდნენ... ბიჭს ემუქრებოდნენ — ბარათზე კუბოც კი დაეხატათ.

რა იყო ეს, შურისძიება? მაგრამ თითქო საცოლე არავისთვის წაურთმევია!

შური? — რა გალაღებული ცხოვრება ბიჭს ჰქონდა, რომ ეს ერთი სიხარულიც დაენანათ მისთვის!

უსაქმურობის დროს გასართობად მოგონილი ბილწსიტყვაობა? მაგრამ ნუთუ შეიძლება ასეთი „შემოქმედებით" ერთობოდეს ადამიანი?

ან იქნებ სიმთვრალეში იყო შეთხზული — იმ მდგომარეობაში, როდესაც ადამიანი კარგავს კონტროლს საკუთარ მოქმედებაზე და საერთოდ არ იცის, რას სჩადის.

ასე იყო თუ ისე, ერთმა ახალგაზრდამ შეურაცხყო მეორის წმიდათა-წმინდა, შხამი ჩაალვარა ახლადაღმოცენებული ოჯახის ფესვებს.

არ მინდა ვიფიქრო, რომ ამ ბარათის დამწერი მარტო არ იყო.

ისიც წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ წერილის ავტორი ამ წერილით ართობდა ვინმეს და აცინებდა.

თუ პირველი, ან მეორე ბრალდება მართებულია, მზარავს იმის გაფიქრებაც კი, რომ...

არა, არა, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელი!

დაწესებულებაც ხომ ოჯახია, კოლექტივი ადამიანთა, რომლებიც ცხოვრების უმეტეს დროს ერთად ატარებენ, ერთმანეთის ავკარგს იზიარებენ, ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთს გვერდით უდგანან.

არა, ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ამ ადამიანებს მეტი სიფრთხილე რომ გამოეჩინათ, ან შემდეგ მეტი გულთამხილაობა, მეტი ყურადღება...

მაგრამ ეს არ მოხდა და ბიჭი თავის შეურაცხყოფილ გრძნობასთან მარტოდ დარჩა.

მარტოვე მოუხდა შეურაცხმყოფელთან მისვლა შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად, საყვარელი ქალის დასაცავად, ადამიანური ღირსების დასაცავად.

არ ვიცით, რა დიალოგი გაიმართა მათ შორის. დედის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, შეურაცხყოფილს პასუხი მოუთხოვია, იმას აგდებით უპასუხებია...

შემდეგ, სასამართლოზე, როგორც დედამ მომითხრო, ითქვა, რომ ამ ბარათში ვერ ხედავენ ვერაფერ ისეთს, რის გამოც შეიძლებოდა კაცს კაცი მოეკლა. ისიც კი უთქვამთ, რომ მასში დაწერილი ყველაფერი „უბრალო ხუმრობაა" მხოლოდ... ეს კი საოცარია!

მე ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ხუმრობად და რა არა. ისიც, ვის და ვის შორის, ან რა გარემოებაშია დასაშვები ესა თუ ის ხუმრობა.

მე მხოლოდ იმ „ხუმრობის" მიზეზი მაფიქრებს და შედეგი მზარავს, შედეგი, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა.

„სავაზნემ" თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ რას იფიქრებდა მისი ხელოსანი, რომ იმ სავაზნიდან წამოსული ერთ-ერთი ტყვია მასაც მოხვდებოდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა! ეს რომ გაეთვალისწინებია, იქნებ ასე ვერც იმ მეორეს გაიმეტებდა, იმას, ვისაც ახლა კაცის მკვლელი ჰქვია და სიცოცხლის ბოლომდე უმძიმეს ტვირთად შემორჩება ეს საშინელი იარლიყი.

კაცის მკვლელი!!!

ამას წინათ გავეცანით რამდენიმე ახალგაზრდის საქმეს. ვნახეთ ისინიც, ვისაც ბრმა შემთხვევის წყალობით, სანადირო თოფით შემოკვდომიათ მეზობელი, მეგობარი თუ ნათესავი. და ჩვენ შეგვზარა უსაზღვრო ტანჯვამ — მათი თვალებიდან რომ გამოკრთოდა. „დედას ვფიცავ, არ მინდოდა, შემთხვევით შემომაკვდა", — ლუღლუღებდნენ ბიჭები და მოკლულებთან და მათ მახლობლებთან ერთად გვებრალებოდნენ ეს შემთხვევითი მკვლელები და მათი მშობლებიც — ზოგმა რომ თავისი სოფელი და კარმიდამოც კი მიატოვა და სხვაგან გადასახლდა.

მაგრამ განა ბავშვების ხელში მოხვედრილ იარაღზე ნაკლებ საშიშია ქაღალდი და კალამი, ან სიტყვა, თუ მას ბოროტად გამოიყენებ?

განა ერთი და ორი ოჯახი დაუნგრევია, მეგობრები დაუშორებია, მოკეთეები გადაუმტერებია, სიყვარული გაუცამტვერებია, ადამიანი გაუნადგურებია, სიცოცხლე მოუსპია თეთრზე შავით დაწერილს, ან ნათქვამს, ზოგჯერ ვითომ მიამიტად დაწერილ უხამსობას, ზოგჯერ საკუთარი თავის თუ ვისიმე გასართობად გამოგონებულ, ვითომდა უწყინარ ხუმრობას, თუ საგანგებოდ, ადამიანის გასამწარებლად შეთითხნილ წერილს თუ ზეპირსიტყვაობას?

...ახალგაზრდა ქალი საქმრომ მიატოვა. ქალმა ღალატი იმდენად განიცადა, რომ ტუბერკულოზის პროცესი გაეხსნა, აბასთუმანში წავიდა და სამუშაოდ იქვე დარჩა. ხანი გავიდა, გულის ჭრილობა მოუშუშდა. შემდეგ შეხვდა წესიერ, კეთილშობილ ადამიანს, გათხოვდა და თითქოს ბედნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიღაცას შეშურდა ეს ბედნიერება, და სეტყვასავით წამოვიდა ანონიმური წერილები. ქმარი მათ სპობდა, მაგრამ ერთ-ერთი წერილი ქალის ხელშიც მოხვდა და მან თავი მოიწამლა. ამბობენ, ქმარიც, ექიმებიც ბევრს ემუდარნენ, ეცადნენ, მაგრამ, პირი ვერ გაახსნევინეს, რომ რაიმე ელონათ მის გადასარჩენად. და ასე, გულქვა, ბოროტი, შურიანი ადამიანების მიმართ პროტესტის ნიშნად, კრიჭაშეკრული, აუწერელი წამებით ნებდებოდა, თურმე, სიკვდილს ახალგაზრდა, მშვენიერი, უდანაშაულო ქალი.

ასეთი მაგალითი არც თუ ცოტაა და სამწუხაროდ, მეტ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ იქცევა საზოგადოების მსჯელობის, თანაგრძნობისა თუ აღშფოთების საგნად, როდესაც ფაქტი უკვე მომხდარია.

...დედა ირწმუნება, რომ მისი ვაჟი ბარათის ავტორთან წინასწარ განზრახული მკვლელობის მიზნით არ მისულა, რომ ჩადენილი დანაშაულით შეშფოთებულმა და გამწარებულმა დაჭრილი თვითონვე მიიყვანა საავადმყოფოში, გამოცხადდა მილიციაში და სხვა... და რომ არც სასამართლოზე უმართლებია თავი, არ უთხოვია დანაშაულის პატიება...

ასე დაინგრა ორი ოჯახი, გამწარდა ორი დედა, ახალგაზრდა ცოლი, მახლობლები.

ახლა ჩემს მაგიდაზე იმ ბარათის ფოტოპირი დევს — ერთი შეხედვით უცოდველი ქაღალდის ფარატინა, რომელიც დარჩება ორი დანგრეული ოჯახის, და განა მარტო იმ ოჯახების? — საერთოდ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაშიც, როგორც მძიმე ბრალდება, როგორც სასტიკი საყვედური და გაფრთხილება ყველას მიმართ, ვის ხელშიც ქაღალდი და კალამი — ადამიანთა ურთიერთობის ეს დიდებული საშუალება — შეიძლება იქცეს ყველაზე ვერაგი ტყვიის სავაზნედ.

მარიკა ბარათაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეთერ სახნიაშვილი

იგი კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაა. შრომითი საქმიანობა ერთდღიანი წიწილების მოვლით დაიწყო, გამოცდილება შეიძინა და შემდეგ სადედე გუნდში გადავიდა. ახლა საქმე კვერცხმდებელ ფრინველებთან აქვს. მათ გარკვეული რეჟიმის დაცვით უვლის, თუ ფრინველს სისუსტეს შეატყობს, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავს იგი, რომ არ დაეღუპოს.

ფრინველებს დღეში სამჯერ კვებავს, ხშირად უცვლის ნახერხს, რომ სუფთა კვერცხი მიიღოს. ქათმებს არ აკლებს ქვიშას კვერცხის ნაჭუჭის გასამაგრებლად. იმისათვის, რომ კვერცხები არ დაიმტვრეს, მათ ხელით აგროვებს.

საშუალოდ დღეში 1.500-მდე ცალ კვერცხს იღებს სადედედან ეთერი.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ...

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

**მწერალ აკაკი გელოვანს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. მისმა წიგნებმა დიდიხანია მკითხველთა შორის პოპულარობა მოიპოვა. ამავე დროს, აკაკი გელოვანი ნაყოფიერად მუშაობს, როგორც მთარგმნელი. ჟურნალ „საქართველოს ქალის" კოლექტივი ულოცავს თავის ერთ-ერთ აქტიურ თანამშრომელს, მწერალ აკაკი გელოვანს დაბადების 50 წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებას.**

# ქალი გამორჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში

**(ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ)**

ერთ ძველ ოსტატს სიმბოლურად გამოუხატავს ქალი — შთაგონების წყარო: მზის შარავანდედით გასხივოსნებულ ღრუბელზე ზის მშვენიერი ასული, ხელში ქნარი უჭირავს, მარჯვენით ცას, სიმაღლეს უჩვენებს თავის მეგობარს.

ჩვენი წერილების ციკლის სიმბოლოც ასე გვესახება.

რაღა მტკიცება უნდა, რომ ქალს გამორჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს!

ქალი ხომ მამაკაცის განუყრელი თანამგზავრი, თანამებრძოლი, მეგობარი და ამავე დროს მისი ღირსების საზომია. შემოქმედი კაცისათვის კი იგი შთაგონების წყაროცაა.

ქალი ქმნილების გვირგვინიაო, თქვა გოეთემ, ვინც ყველაზე ღრმად შეიცნო სამყაროს ჰარმონიაც და ამ ჰარმონიის მშვენებაც.

ადამიანს არ შეუძლია ლიტერატურისა თუ ხელოვნების შედევრის შექმნა, თუ მას არ უყვარს, თუ ის არ უყვართ.

ქალის მშვენიერებამ შთააგონა გენიალური ეგვიპტელი მოქანდაკე, რომელმაც 3.500 წლის წინ ფარაონი ქალის — ნეფერტიტის შეუდარებელი სახე გამოკვეთა.

მომდევნო წერილებში ჩვენ ვისაუბრებთ იმ ქალებზე, რომლებიც ერთი შეხედვით შეუმჩნეველი არიან, სინამდვილეში კი იყვნენ და მარად დარჩებიან შემოქმედის გულში და მაშასადამე, ქმნილების ცენტრში. სადავო არაა, რომ ყოველი დროისა და ხალხის ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი თემა ქალია, პოეზიის მარადიული საგანი კი — სიყვარული.

უმწეო იქნებოდა მხატვრის ყალამი, მგოსნის კალამი, მათს მფლობელთ ამაღლებული იდეალებისაკენ რომ არ მოუწოდებდეს მუზად წოდებული ქალი.

ვინ არ იცის, რა დიდი როლი ითამაშა მარქსის ცხოვრებაში ჟენი ფონ ვესტფალენმა! სახით მშვენიერი, სულით სპეტაკი, გონებით ამაღლებული, ბუნებით მზრუნველი მეუღლე გრძნობდა, რას ნიშნავდა გენიის სიახლოვე, და მარქსიც აღიარებდა, რა აუცილებელი იყო მისთვის ასეთი მეგობარი. ერთ-ერთ ლექსში მარქსი ასე მიმართავს ჟენის:

> შენი სახე ჟღერდა, როგორც ეოლოსის
> ქნარი —
> ფრთის შეხებით ატეხილი სიყვარულის
> ქარი;
> ხან მიწაზე გრიალებდა, ხან ღრუბლებზე
> მაღლა,
>
> შთაგონების ფრთებს მასხამდა,
> მიქრებოდა დაღლა...

სამაგალითოა დიდი ლენინისა და ნადეჟდა კრუპსკაიას მეგობრობა. ეს მოაზროვნე ქალი მუდამ გვერდით ედგა თავის მეუღლეს — რევოლუციის ტიტანს.

შემოქმედი, მოაზროვნე კაცისა და ქალის მეგობრობა ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა. გავიხსენოთ, როგორ უყვარდა სოკრატეს თავისი ჰეტერა, ძველი საბერძნეთის უაღრესად განათლებული მანდილოსანი.

დიდების ზენიტზე მყოფმა პერიკლემ ცოლი მიატოვა და ასპაზია შეირთო. სასამართლომ ქალს ულმერთობა დასწამა. პერიკლემ საკუთარი ცრემლით მოალბო მსაჯულების გული. თვით პლატონი ადიდებდა ამ ქალს.

ალექსანდრე მაკედონელმა ლაშქრობაში შეირთო დამარცხებული მტრის ასული, მშვენიერი როქსანა. სოდომას ცნობილ სურათში ნაჩვენებია ამ ერთადერთი ქალის სახე, რომელმაც დიდი დამპყრობელის გული დაიპყრო.

„სიყვარულის ხელოვნების" ავტორს — ოვიდიუსს ერთი დღეც არ შეეძლო არსებობა უსიყვარულოდ. სამიჯნურო თავგადასავლებში გონდაკარგული პოეტი შემდეგში კერას მიაჯაჭვა ცოლმა — ფაბიამ. ასეთი კაცის მოდრეკა გმირობა იყო და ასეთი გმირი აღმოჩნდა ფაბია, რომელმაც განდევნილობაში ოვიდიუსის გაყოლაც ისურვა, მაგრამ უარი მიიღო. — შენ იხსენი ჩემი არსება მტრების ხელყოფისაგანო, — ადიდებს პოეტი საყვარელ მეუღლეს.

ისტორია არ დაივიწყებს მამაც ბერძენ ქალებს, განსაცდელის ჟამს [illegible] რომ მოითხოვდნენ; რომაელ მანდილოსნებს, განწირულ ქმრებთან ერთად რომ იკლავდნენ თავს; ვაისბერგელ დედაკაცებს, რომელთაც ქმრები, მამები და ძმები ალყიდან საკუთარი ზურგით გაიყვანეს... მაგრამ ერთგულებისა და თავდადების ის მაგალითი, რაც დეკაბრისტების ცოლებმა დაგვიტოვეს, ისტორიაში განუმეორებელია: მათ გაწირეს სასახლეები, სიმდიდრე, სახელ-დიდება, ხელახლა გათხოვების უფლება, და ციმბირის კატორღის ჯურღმულებში გაჰყვნენ მსჯავრდადებულ ქმრებს, მათი ძნელბედობა გაიზიარეს... ეკატერინე ტრუბეცკაია, მარია ვოლკონსკაია, თავადის ქალი მურავიოვა და სხვანი პუშკინისა და ნეკრასოვის შთაგონების წყაროებად იქცნენ. ნეკრასოვმა მთელი პოემა უძღვნა დეკაბრისტ ქალებს:

> მომხიბლავო სახეებო, სამკაულნო ჩვენი
> ერის,
>
> გულმოდგინედ გადავშალე ყველა
> ქვეყნის ისტორია,
> ვერსად ვნახე ვერაფერი მე ასეთი
> მშვენიერი,
> თქვენნაირი ხსოვნის ღირსი სხვაგან
> ვერსად მიპოვნია...

...კოლონების განთქმული გვარის ქალი, ჭკუითა და სილამაზით გამორჩეული ვიტორია, პავის ბრძოლაში დაღუპული მამაცი მარკიზის-პესკარას ქვრივი, ცნობილი პოეტი-პეტრარკისტი, უკვე მონაზვნად აღკვეცას აპირებდა, როცა მიქელანჯელოს შეხვდა და დაუახლოვდა. ქალი 46 წლისა იყო, კაცი 63 წლისა. ეს იყო ჭეშმარიტი შემოქმედებითი მეგობრობა, რასაც ზღვარი დაუდო მხოლოდ ვიტორია კოლონას გარდაცვალებამ. ხელოვნების კენტად მავალი ტიტანი ამის შემდეგ საბოლოოდ ჩაიკეტა თავის შინაგან სამყაროში. იტალიაში აღარ აღმოჩნდა მეორე ქალი, რომელიც მისი ჩახურული გულის კარს შეაღებდა.

ცნობილი რომაელი მოქალაქის ტარქვინიუს კოლატინის მშვენიერ ცოლს ლუკრეციას ნამუსი ახადა ტირან ტარქვინიუს ამაყის შვილმა — სიქსტმა. შეურაცხყოფილმა ქალმა მახვილით მოისწრაფა სიცოცხლე. სწორედ ეს გახდა ამბოხების საბაბი. რომაელებმა დაამხეს ტარქვინიუსების ტირანია და რომში რესპუბლიკა გამოცხადდა. რაიმონდის ცნობილ სურათში აღბეჭდილია ის მომენტი, როცა ლუკრეცია გულში მახვილს იყრის.

ჰორაციუსი თუ ლოპე დე ვეგა მარად აღმერთებდნენ ქალს, როგორც შთაგონებას.

ვინ შთააგონა რაფაელის გენია, როდესაც „სიქსტის მადონას" ქმნიდა? აქ თქვენ ხედავთ ერთი მშვენიერი რომაელი ქალის სახეს, რომელიც გენიალური მხატვრის მარჯვენამ განაზოგადა, აამაღლა, ციური შარავანდედით შემოსა და მადონა უწოდა. ეს იყო მეფუნთუშის ასული ფორნარინა. რაფაელმა მას ლექსიც უძღვნა:

> შენთან შეხვედრამ ამიბნია მე გზა და
> კვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც შენ გიპოვნე, შვების წუთი არა
მქონია,
ტკბილად ვიგონებ შეყრის წამს და ასე
მგონია
შორეულ ზღვაში ჩაესვენა ბედის
ვარსკვლავი...

მარად დარჩება ღირსეული მეგობრის ნიმუშად რემბრანდტის მეუღლე სასკია, რომლის სახეც დიდმა მხატვარმა სამარადისოდ უკვდავჰყო. ზრუნვისა და თავგამოდების ნიმუშად დარჩება მისი მეორე ცოლიც — ჰენდრიკე შტოფელსი (სასკიას გარდაცვალების შემდეგ რომ ამოუდგა მხარში მხატვარს). რას იფიქრებდა მხატვრის შინამოსამსახურე, რომ ოდესმე მის ფერად პორტრეტს ხელოვნების ისტორიის ხუთასგვერდიანი ტომის სატიტულო ფურცელთან ჩააკერებდნენ!

რა მეფურია ელენე ფურმანის — რუბენსის მეუღლის პორტრეტი!

თავდადებული მეუღლისა და მეგობრობის ნიმუშად დარჩება ბრაზილიელი ანიტა, გარიბალდის ერთგული მეუღლე და თანამებრძოლი, რომელმაც ბრძოლის ველზე, ლეგენდარული მეუღლის ხელებზე ჰპოვა აღსასრული. მტრის ტყვიით განგმირული ფეხმძიმე ქალი სიკვდილის წინ ისევ ქმარ-შვილისათვის აღავლენდა ლოცვას უზენაესისადმი, რომელიც ასე სასტიკად მოექცა.

ჩვენ ქედს ვიხრით დიდი ილიას ღირსეული მეუღლის — ოლღა ჭავჭავაძის წინაშე. ეს დიდებული მანდილოსანი მისაბაძი უნდა იყოს ყოველი ქართველი შემოქმედის მეუღლისათვის. ან რა იქნება იმაზე მაღალი მისია, რომ ვარდ-ყვავილებით მოჰფინო მეუღლის გზა, მეუღლისა, ვინც მას ერთს მიენდო, მაგრამ მთელი ერის საკუთრებაა?

წინასწარვე გავიხსენოთ: გამოჩენილ ადამიანთა შორისაც ყოფილან „ახირებულნი", რომელთაც ქალი არასოდეს ჰყვარებიათ, ან არ უთხოვიათ. ამბობენ, ნიუტონმა არ იცოდა ქალისა და თვით დიდების სიყვარულიო. სიკვდილამდე კენტად დარჩენილან ისეთი გიგანტები, როგორიც არიან ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, იგივე ნიუტონი, დალტონი, გოგოლი, ანდერსენი, ჩვენი ყაზბეგი. ცოლი არასოდეს შეურთავს ბეთჰოვენს, მენდელსონს, მაიერბერს, შოპენს... ცხადია, მათ ჰქონდათ ამაღელვებელი რომანები.

ჩვენ გადავშლით დიდ ადამიანთა ცხოვრების იმ საგულისხმო ფურცლებს, რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა ეძლევათ, როგორც სასიკეთო შემოქმედებითი მეგობრობის ნიმუშებს. ცხადია, ისტორიას ყველა სურათი და ამბავი რომ შემოენახა, ის ბევრად უფრო მდიდარი იქნებოდა, ვიდრე არის, მაგრამ, რაც შემონახული და მისაწვდომია, ისიც საკმარისია ყველასათვის, ვისაც გენიისა და მშვენიერების სიახლოვე აღელვებს და აინტერესებს.

# ძველებური შეგონებანი

## ოთხი მელოტი

ოთხმა მელოტმა, რომლებიც მძიმედ განიცდიდნენ თავიანთ სიქაჩლეს, რჩევისათვის მიმართეს ულრან ტყეში განმარტოებულ ბრძენ-ასკეტს.

— ნივთებს ღირებულებას მხოლოდ და მხოლოდ სურვილის ძალა ანიჭებს, — წარმოთქვა განდეგილმა. — თუმცა ვერ გამიგია, ასეთმა უბრალო რაღაცამ როგორ დაგამწუხრათ, მაგრამ, მზადა ვარ, დაგეხმაროთ, რადგან ვხედავ, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევთ თქვენ ამას. აქვე ახლოს წყაროა, რომელსაც თქვენთვის საჭირო თვისება აქვს; მოისხურეთ თავზე მისი წყალი და აღგიდგებათ კულულები, რომელიც დრომ და ჟამმა წაგართვათ. მხოლოდ დაიმახსოვრეთ — თავი მხოლოდ ერთხელ უნდა დაისველოთ.

მელოტებმა წყაროს მიაშურეს. გამართლდა მოხუცის სიტყვები: მოისხურეს თუ არა წყალი, ოთხივეს თავი ხშირმა კულულებმა დაუფარა. ისინი აღტაცებული შეაჩერდნენ ერთმანეთს. მაგრამ, გაუნელდათ თუ არა პირველი სიხარული, თქვეს: ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოვისხურეთ წყალი და, ხედავთ, როგორ გავლამაზდით. კიდევ რომ ვცადოთ, ხომ უფრო ლამაზები გავხდებით! ჩანს, მოხუცმა არ გაგვიმხილა წყაროს ნამდვილი ძალაო და კვლავ მოისხურეს თავზე წყალი. მაგრამ, დახეთ უბედურებას! — ხშირი კულულები ისევე ელვისსისწრაფით გაქრა, როგორც ამოვიდა, და ოთხივეს თავის ქალამ წინანდებურად დაიწყო ლაპლაპი.

სასოწარკვეთილები განდეგილთან დაბრუნდნენ. მან ხელები გაშალა: მე წყაროს მბრძანებელი არა ვარ. მხოლოდ მისი თვისება ვიცოდი. ახლა უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება. ეცადეთ, ეს გაკვეთილი მაინც კარგად დაიმახსოვროთ: ზომაგადასულ სურვილებს ყოველთვის მწუხარება მოაქვს.

## დავის დასასრული

სამმა კაცმა იჯარით აიღო პურის ყანა. როცა პური შემოვიდა, პირველმა თქვა:

— ეს ყანა ჩემია!

— არა, ჩემია! — განაცხადა მეორემ.

— ვერ მოგართვით! —მოუჭრა მათ მესამემ.

და დავის გადასაწყვეტად მამულის პატრონთან მივიდნენ. მან ბრძანა ყანა კვლების მიხედვით გაენაწილებინათ. მაგრამ, დახეთ უბედურებას! — ერთი კვალი ზედმეტი აღმოჩნდა.

— ეს ჩემია! — თქვა პირველმა.

— არა, ჩემია! — განაცხადა მეორემ.

— ვერ მოგართვით! — მოუჭრა მათ მესამემ.

ისევ მამულის პატრონს მიადგნენ. მოთიბეთ კვალი და პური ზვინების მიხედვით გაანაწილეთო, — ბრძანა მან. ასეც მოიქცნენ. მაგრამ, ერთი ზვინი ზედმეტი აღმოჩნდა.

— ეს ჩემია! — თქვა პირველმა.

— არა, ჩემია! — განაცხადა მეორემ.

— ვერ მოგართვით! — მოუჭრა მესამემ.

ამჯერად მამულის პატრონმა ბრძანა — დაშალეთ ზვინი და ძნების მიხედვით გაანაწილეთო. გაანაწილეს, ერთი ძნა ზედმეტი იყო. ძნა მარცვლების მიხედვით გაანაწილეთო, — უბრძანა მამულის პატრონმა. გაანაწილეს, მაგრამ ერთი ზედმეტი მარცვალი აღმოჩნდა.

— ეს ჩემია! — თქვა პირველმა.

— არა, ჩემია! — განაცხადა მეორემ.

— ვერ მოგართვით! — მოუჭრა მესამემ.

მამულის პატრონმა აიღო ზედმეტი მარცვალი და ბრძანა:

— აბა, სამივენი მომყევით!

მიიყვანა ისინი მდინარის პირას, მოიქნია ხელი, მარცვალი პირდაპირ აქაფებულ მორევში გადაისროლა და შესძახა:

— ვინც იპოვის მისი იყოს!

სამივენი მდინარეში გადაეშვნენ. უკან კი ვერც ერთმა ვერ გამოაღწია, მორევში ჩაიხრჩვნენ.

აი რა მოუტანა მათ ჯიქობამ და გაუმაძღრობამ.

ჟურნალიდან „სემია ი შკოლა".

# შიმშილი ჯანმრთელობისათვის

ამ ბოლო წლებში საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ შიმშილით მკურნალობის მეთოდზე. ადამიანი, დღიდან მისი ინტელექტის განვითარებისა, ნიადაგ სიცოცხლის გახანგრძლივების, გაჯანმრთელებისა და გაახალგაზრდავების გზებს ეძებს.

შორეულ წარსულში, როცა ადამიანი დიდად არ განსხვავდებოდა ცხოველისაგან, მასავით სტიქიურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, დიდი ფიზიკური ძალის დახარჯვის შედეგად შოულობდა საკვებს, ან სულაც ხანგრძლივად შიმშილობდა, უფრო ჯანმრთელი და ამტანი იყო. მას არც ტანთ ემოსა, არც ფუმფულა ლოგინში ეძინა, არც შემწვარ-მოხრაკულს მიირთმევდა და მაინც ჩვენზე ჯანმრთელი გახლდათ.

საუკუნეთა მანძილზე, შეგნებით იყო ეს თუ ინსტიქტურად, ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე მართალი და ჭკვიანი ბუნებაა, ჩვენ კი მის განუყოფელ ნაწილს — მისთვის ყურის დაგდება, მისი კანონების მიხედვით ცხოვრება გვმართებს. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ შიმშილით მკურნალობა ბუნების მიერ ნაკარნახევი და მის მიერ გამოცდილი მეთოდია.

შიმშილით მკურნალობის შესახებ არსებულ ლიტერატურას რომ გადავხედოთ, ზომაზე მეტად გავვოცდებით: თუ ჰეროდოტეს სიტყვებს დავუჯერებთ XV საუკუნეში ჩვ. წ. ა.-დე ეგვიპტელი ფარაონები და დედოფლები თვეში სამ დღეს შიმშილობდნენ და „მოკვდავთა შორის ყველაზე ჯანმრთელნი იყვნენ“.

მემატიანეს სიტყვებით უდიდესი მათემატიკოსი პითაგორა წელიწადში 40 დღეს შიმშილობდა და ამასვე უქადაგებდა თავის მოწაფეებს, რადგან თვლიდა, რომ შიმშილი გონებას უფრო სალსა და ნათელს ხდის. დიდი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი და სოკრატე კი ათდღიანი შიმშილით მკურნალობის მეთოდს მისდევდნენ და ამით უმაღლეს „შთაგონებას“ აღწევდნენ.

„ადამიანს ექიმი საკუთარი სხეულით დაჰყავს. ოღონდ უნდა ეცადო, რომ მას რაც შეიძლება მიეხმარო, თუ კი სხეული გაუწმენდავი გაქვს, მას, რაც მეტ საკვებს მიაწვდი, მით უფრო ავნებ. როცა ავადმყოფს კარგად კვებავენ, კარგად კვებავენ მის სენსაც. გახსოვდეთ, ყოველივე ზედმეტი ბუნებას ეწინააღმდეგება!“ — ეს სიტყვები კი ექიმთა შორის ყველაზე დიდ ექიმს — ჰიპოკრატეს ეკუთვნის.

ჩვენ ვხედავთ გაოცებულ სახეებს, გვესმის დასმული კითხვა: „ჰო, მაგრამ შიმშილი ხომ ადამიანის დაუძინებელი მტერია, შიმშილი ხომ ის ინსტიქტია, რომლის წყალობითაც უამრავი სისხლი დაღვრილა, დანგრეულა ქალაქები, სახელმწიფოები?“

ეს ასეა! მაგრამ ადამიანის გონებისმიერი მოვალეობაა, დავინახოთ ის დიდი ზღვარი, რაც იძულებით, უქონლობით გამოწვეულ შიმშილსა და მკურნალობის მიზნით გამოყენებულ ფრთხილ, დოზირებულ შიმშილს შორის არსებობს.

შიმშილით მკურნალობის დროს უზარმაზარ როლს თამაშობს ადამიანის ფსიქოლოგიური განწყობილება. უნებლიე გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანთა მეტი პროცენტი იღუპება არა შიმშილით, არამედ შიმშილით გამოწვეული განგაშისა და შიშის გრძნობის შედეგად.

ამა წლის მარტის თვეში გაზეთ „ნედელიას“ რედაქციაში „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ თავი მოიყარეს შიმშილით მკურნალობის მეთოდით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა და ამ დარგში მომუშავე ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორიც არიან პროფესორები: ნიკოლაევი, სუდაკოვი, ბაბაიანცი; დოცენტები: ტიშჩენკო, ბოროდინა და სხვები.

მაგიდასთან ერთი სასტუმრო სკამი ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელსაც ეჭირა, რათა შემდეგ „საქართველოს ქალის“ მკითხველისათვის მოკლედ, კონტურებში მოეთხრო ის, რაც ამ საინტერესო და საჭირო შეკრებაზე მოისმინა. სტატიის დაწერის დროს მან იხელმძღვანელა აგრეთვე პროფესორ ნიკოლაევის ახლახან გამოსული წიგნით „შიმშილი ჯანმრთელობისათვის“ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ბოროდინას ნაშრომებით.

როგორც უკვე ვთქვით, შიმშილი ადამიანის უძველესი დაუძინებელი მტერია, მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსალურად მოგვეჩვენოს — საჭიროების დროს შიმშილი ადამიანის მეგობრად და მკურნალად გვევლინება.

ვინც ამ მეთოდს აირჩევს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დარწმუნებული იყოს საკუთარ ნებისყოფასა და ძალაში. ეს მეთოდი შეიძლება ასე გამოვხატოთ: ეს არის „ოპერაცია უდანოდ“. ხოლო ყოველგვარი ოპერაცია, ანუ ადამიანის ორგანიზმში ჩარევა, არც ისე სასიამოვნო პროცესია.

ესე იგი, აღვიჭურვოთ მოთმინებით! დღეს კვირაა (ხვალ, ორშაბათიდან ვიწყებთ მკურნალობას). საღამოთი ვსვამთ კუჭის გასაწმენდ საშუალებას. აქ (დროებით) მთავრდება ის, რასაც დაბადების წუთიდან მივეჩვიეთ — ჭამა! — ვიწყებთ ნებაყოფლობით „მარტვილობას“. პირველ სამ დღეს გვშია, მეოთხე, მეექვსე დღეს კი ჩვენდა გასაოცრად გვეზიზღება კიდეც საჭმელი, მასზე ფიქრი უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. მაგრამ რაღაც მაინც გვაწუხებს, რა!? ეს „რაღაც“ ალბათ ინდივიდუალურია და ძნელად ჩამოსაყალიბებელი. პერიოდულად ადამიანს ეუფლება ძლიერი სისუსტე. მაგრამ მან იცის, რომ შიმშილის დროს აუცილებელია დღეში ორი ლიტრი ბორჯომის მიღება, მოძრაობა, წყლის სხვადასხვა პროცედურები, სხეულის დაზელვა, და ისიც უსიტყვოდ ასრულებს ყოველივეს. ორგანიზმში წარმოიქმნება ნარჩენი პროდუქტები, რაც სხვადასხვა გზით გამოიყოფა. ამ პროცესს დიდად უწყობს ხელს სუფთა — ჟანგბადით სავსე ჰაერი და პაციენტიც უყოყმანოდ აღებს ოთახის ფანჯრებს, სეირნობს სუფთა ჰაერზე.

ენაზე ჩნდება სქელი, წებოვანი, მოთეთრო-მორუხო ნადები. სწორედ ეს ნადები გახლავთ ერთგვარი სასიგნალო საშუალება იმისა, თუ როდის თავდება მკურნალობის პერიოდი. როცა ენა გასუფთავდება — გაქრება ნადები, იწყება აღდგენითი — კვების პერიოდი, რომელიც შიმშილის პერიოდზე არანაკლებ საპასუხისმგებლოა. კვება იწყება ფრთხილად, ნელ-ნელა ხილ-ბოსტნეულის წვენებითა და სალათებით.

რა ხდება შიმშილით მკურნალობის დროს? რა იწვევს დაავადების დაჯაბნას?

შიმშილის მექანიზმის ერთ-ერთი პირველი შემსწავლელი, პათოფიზიოლოგი პროფესორი ვ. პაშუტინი ასე ხსნიდა შიმშილის მოქმედებას ორგანიზმზე: შიმშილის დროს ორგანიზმი ვერ აღიდგენს თავის დანახარჯს მიღებული საკვებით და იძულებულია საკუთარ ენდოგენურ კვებაზე გადავიდეს.

ბიოლოგიური სიცოცხლის საფუძველს ნივთიერებათა განუწყვეტელი ცვლა წარმოადგენს. ორგანიზმი სისტემატურად იღებს საკვებს, მაგრამ „დარწმუნებული რომ იყოს ხვალინდელ დღეში“, ამიტომ თადარიგს იჭერს და შიმშილის გრძნობა ამ „მარაგის ამოწურვამდე კარგა ხნით ადრე ილვიძებს“. აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: როცა ორგანიზმს საკვების მიწოდებას შევუწყვეტთ, მას კიდევ კარგა ხანს ჰყოფნის საკუთარი მარაგი.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს მარაგი ადამიანს ჰყოფნის მანამდე, სანამდე საკუთარი წონის 40-45 პროცენტს არ დაკარგავს. შემდეგ კი იწყება ეგრეთწოდებული გამოფიტვა, რაც უკვე საშიში გახლავთ ჯანმრთელობისათვის.

საკუთარ — ენდოგენურ კვებაზე გადასვლის შემდეგ ორგანიზმი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით წვავს არა მარტო „მარაგს“, არამედ ორგანიზმში დაგროვილ მავნე ნივთიერებებს — „შლაკებს“, სხვადასხვა გზებით ინტენსიურად ედენება ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, გადატანილი დაავადებების, წამლების ხანგრძლივად მიღების, არასწორი კვების, ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვათა შედეგად დაგროვილ შხამიან პროდუქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვების მიწოდების შეწყვეტის შედეგად ხდება ორგანიზმის ერთგვარი „შენჯღრევა", რაც ინტენსიურად აღვიძებს ორგანიზმის ფარულ დამცველ ძალებს, რაზმავს მათ თავდასაცავად. ამ შენჯღრევა-თავდაცვის პროცესში ორგანიზმის ძალები აქტიურდებიან, აღადგენენ ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს. აი გასაღები შიმშილით მკურნალობის ეფექტურობისა.

შიმშილით მკურნალობას მხოლოდ მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა უძლური ხდება ყოველგვარი ფარმაკოლოგიური და სამედიცინო ჩარევა და შედეგი თითქმის ყოველთვის მეტნაკლებად დადებითია.

ჩვენ ვიყავით მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტთან არსებულ კანის დაავადებათა განყოფილებაში, ვნახეთ ავადმყოფები, რომელთაც აქ მოსვლამდე განკურნების ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდათ: თითქმის ყველას თვალში იმედის სხივი ჩაქრობოდა, მხურვალე პროპაგანდისტები გამხდარიყვნენ ამ მეთოდისა. ვნახეთ 17 წლის გოგონა, ძლიდან დაბადებისა დაავადებული უმძიმესი ფორმის დიათეზით, რასაც ნაწილობრივ ფსიქიკური აშლილობაც დართვოდა. ჩვენ იგი მკურნალობის მე-10 დღეს ვინახულეთ და ძნელად დავიჯერეთ მისივე მონათხრობი. კრიალა ვარდისფერ სხეულს მუწუკის ნასახიც აღარ ემჩნეოდა, მხოლოდ თმაში — თავზე დარჩენილიყო აქა-იქ ქვალი. გოგონა მშვიდად იღიმებოდა და მეორედ დაბადებულს ჰგავდა.

— ამ მეთოდს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ჯორდანო ბრუნოსავით კოცონზეც რომ დამწვან, მაინც ვიყვირებ, ბრუნავს-მეთქი,-გვითხრა სიცილით პროფესორმა ბაბაიანცმა.

გრძელია იმ სნეულებათა სია, რომელნიც, ბუნების მიერ შემოთავაზებული მეთოდით — შიმშილით იკურნება: კუჭსუკანა (პანკრეასის) ჯირკვლის ანთება, დიაბეტი, კუჭ-ნაწლავის წყლულები, კოლიტი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად გამოწვეული მთელი რიგი დაავადებები (სიმსუქნე, მარილების დაგროვება), გულ-სისხლძარღვთა მოშლილობა, შიზოფრენიის ზოგიერთი ფორმა და სხვა.

— რაკი მედიცინის მომავალი პროფილაქტიკას ეკუთვნის, ხომ არ მიიჩნევდით შიმშილით მკურნალობას პროფილაქტიკის ერთ-ერთ სახედ? — ვკითხეთ „მრგვალი მაგიდის" მონაწილეთ.

— უსათუოდ, — იყო პასუხი, — ორმოც წელს მიტანებულმა ადამიანმა სასურველია სისტემატურად ჩაატაროს შიმშილით მკურნალობის მოკლე ციკლი. ეს ხელს შეუწყობს მოსალოდნელი დაავადების თავიდან აცილებას, გაგვაახალგაზრდავებს, გაგვიხანგრძლივებს სიცოცხლეს!

დასასრულს, გვინდა მკითხველი გავაფრთხილოთ: შიმშილით მკურნალობა სერიოზულ სამედიცინო მეთვალყურეობას მოითხოვს და მისი დამოუკიდებლად ჩატარება დაუშვებელია.

**ნანული ცაგარეიშვილი**

# ჩვენი საოჯახო კლუბი

**ექიმის რჩევა**

# თქვენზე ბევრია დამოკიდებული

კუჭ-ნაწლავის ინფექციები, გრიპის და სხვა რესპირატორულ დაავადებათა შემდეგ, თავისი გავრცელების სიხშირით მეორე ადგილზე დგას. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის წინააღმდეგ ბრძოლას. მუცლის ტიფს, პარატიფს, დიზენტერიას, ქოლერას და სალმონელეზებს იწვევს სხვადასხვა სახის მიკრობები. თუმცა ეს დაავადებანი ერთ ჯგუფში ერთიანდებიან, მათი გავრცელების გზები სხვადასხვაგვარია.

მუცლის ტიფით, პარატიფით, დიზენტერიითა და ქოლერით მხოლოდ ადამიანი ავადდება. კუჭ-ნაწლავიდან გამოყოფილი ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიები ჯანსაღი ადამიანის ორგანიზმში ხვდება მხოლოდ პირის, გაჭუჭყიანებული სასმელ-საჭმლის, ჭუჭყიანი ხელებისა და საგნების მეშვეობით, სალმონელეზით ადამიანის დაავადებას იწვევს დაინფიცირებული პროდუქტები: ხორცი და ხორცის ნაწარმი, კვერცხი, ქათამი, თევზი, სალმონელეზები შეიძლება მოხვდნენ რძეშიც, რძის პროდუქტებსა და კულინარულ ნაწარმშიც, თუ დაცული არ იქნება პროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები. ზოგჯერ ეს ბაქტერიები რძეში დაავადებული ძროხის ორგანიზმიდანაც გადადიან.

მიკრობებისათვის ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს, აგრეთვე, ლაბა და სხვა ცივი საუზმეულობა, ნახევარფაბრიკატები და ქონი.

აღსანიშნავია, რომ კუჭ-ნაწლავის ინფექციების გამომწვევი ბაქტერიები ხანგრძლივად ეგუებიან გარემო პირობებს, ადვილად იტანენ დაბალ ტემპერატურას და ყინვას, კარგად იზამთრებენ გაყინულ წყალსაცავებში და ძლებენ გაყინულ პროდუქტებში. ბაქტერიებით გაჭუჭყიანებულმა ყინულმაც კი შეიძლება გამოიწვიოს დაავადება, თუკი ამ ყინულს პროდუქტების შესანახად გამოიყენებ.ი.

ნაკადულებში, ტბებში, წყალსაცავებში და ჭებში ეს მიკრობები 10 დღეს ძლებენ, გამდინარე წყლებში კი — 3-დან 5-დღემდე. დიდხანს ცოცხლობენ მიკრობები ზღვის წყალში. ნაწლავების ინფექციის გამომწვევი მიკრობები ყველაზე ხანგრძლივად კეთილმოუწყობელ საპირფარეშოებში ბუდობენ.

ნორმალური სიმჟავის კუჭის წვენი დამღუპველად მოქმედებს ამ დაავადებათა გამომწვევ ბაქტერიებზე. ამრიგად, თუ ადამიანის კუჭის წვენში მაღალი კონცენტრაციის მარილმჟავაა, ბაქტერიებმა შეიძლება დაავადება ვერც კი გამოიწვიონ.

განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ გასტრიტით დაავადებულთ, რომელთაც მარილმჟავას არასაკმარისი სეკრეცია აქვთ. მათს კუჭ-ნაწლავში მოხვედრილ ბაქტერიებს ხელსაყრელი ნიადაგი ექმნებათ განვითარებისათვის. ამიტომ ასეთი ავადმყოფები განსაკუთრებით უნდა ერიდონ კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექციებს.

დიზენტერიის პირველი ნიშნები დასნებოვნების მომენტიდან 1-დან 3 დღეში, მაქსიმალურად კი ერთ კვირაში გამოვლინდება. მუცლის ტიფის შემთხვევაში ამ პერიოდმა შეიძლება ერთ თვემდეც გასტანოს. შედარებით მცირე ინკუბაციური პერიოდი ახასიათებს სალმონელეზებს — რამდენიმე საათი ან 1-2 დღე. ამ დაავადების ნიშნებიც სრულიად განსხვავებული, ხშირად სუსტად გამოხატულია. უკანასკნელი 30-50 წლის განმავლობაში მუცლის ტიფი და დიზენტერია გაცილებით იოლად მიმდინარეობს. ნაწილობრივ გაიზარდა ავადმყოფობის უსიმპტომო, ფარული ფორმები. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გამო შეიცვალა თვით მათი გამომწვევი ბაქტერიები. მაგალითად, გაქრენ მძიმე ფორმის დიზენტერიის ბაცილები. სხვანაირი გახდა ქოლერაც. ჩან ახლა მსოფ-

ლიოს უმრავლეს ქვეყნებში იწვევს არა „კლასიკური“ ვიბრიონები — ინაბა და ოგავა, არამედ ვიბრიონი ელ-ტორი, თუმცა ისიც გამოირჩევა თავისი ვერაგობით. გვხვდება აგრეთვე უსიმპტომო, იოლი ფორმებიც.

ხშირად ინფექციის გამავრცელებლად გვევლინება ადამიანი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს კუჭის აშლილობას, არ ესინჯება ექიმს, არ იცავს ჰიგიენას. მათ კი, ვისაც კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექცია მკურნალობის გარეშე აქვთ გადატანილი, შეიძლება, დროთა განმავლობაში განუვითარდეთ კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადება — ქრონიკული ენტერიტი და ენტეროკოლიტი. ამიტომაც სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ავადმყოფობის უმნიშვნელო გამოვლენასაც კი.

სალმონელეზებითა და ქოლერით დაავადებულთ ეწყებათ ფაღარათი და ღებინება, მაგრამ ამ მოვლენებს შორისაც შეინიშნება სხვაობა. ქოლერის დროს ტემპერატურა, როგორც წესი, არ მატულობს, სალმონელეზების დროს კი ტემპერატურა მაღალია. ფაღარათითა და ღებინებით იწყება აგრეთვე დიზენტერია. მუცლის ტიფით დაავადებულებს ავადმყოფობის დასაწყისში აღენიშნებათ სიცხე, თავის ტკივილი, დროდადრო ტემპერატურის მერყეობა.

დაწვრილებით ვერ შევჩერდებით დაავადების ყველა სიმპტომზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფაღარათობის, ღებინების და ტემპერატურის აწევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს.

ამ ინფექციურ დაავადებებს ახასიათებს ისეთი საშიში გართულება, როგორიც არის ბაქტერიის მატარებლობა. თუ დაავადება ჩვეულებრივად მიმდინარეობს, ავადმყოფის გამოჯანმრთელებასთან ერთად ორგანიზმი თანდათანობით თავისუფლდება ბაქტერიებისაგან. მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის ასე როდია.

ზოგჯერ ეს ბაქტერიები წლობით რჩებიან კუჭ-ნაწლავში, შარდ-სასქესო ტრაქტში. ღვიძლში, ნაღვლის ბუშტში და სხვა ორგანოებში. ადამიანი არაფერს არ უჩივის, თავი ჯანმრთელი ჰგონია და ვერც კი გრძნობს, რომ ირგვლივ მყოფთათვის ზედმიწევნით საშიშ ბაქტერიებს გამოჰყოფს. ეს საშიშროება კიდევ უფრო იზრდება, თუ ბაქტერიისმატარებელი საზოგადოებრივი კვების საწარმოში, ან იქ მუშაობს, სადაც ამზადებენ და ინახავენ საკვებ პროდუქტებს.

მაგალითად, 1927 წელს მონრეალში იფეთქა მუცლის ტიფის ეპიდემიამ. თებერვლიდან ივნისამდე დაავადდა 5000 ადამიანი. მათგან 500-მდე კაცი დაიღუპა. ეპიდემიის მიზეზი სამი თვის შემდეგ დაადგინეს. უმსხვილესი რძის ქარხნის პასტერიზაციის საამქროში, რომელიც მთელ ქალაქს ამარაგებდა რძით, წინასწარი სამედიცინო გამოკვლევის გარეშე მიეღოთ ერთი თანამშრომელი, რომელიც ბაქტერიისმატარებელი აღმოჩნდა (მას მუცლის ტიფი 20 წლის წინათ გადაეტანა). ქარხანაში სათანადოდ არ იცავდნენ პასტერიზაციის რეჟიმს და გასაყიდად დაინფიცირებულ რძეს აგზავნიდნენ.



რა უნდა ვიღონოთ კუჭ-ნაწლავის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ? რაც შეიძლება მალე, ავადმყოფობის პირველი ნიშნების გამოვლინებისთანავე მიმართეთ ექიმს. თუ რომელიმე მიზეზის გამო არ ხერხდება ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია, იგი განაცალკევეთ. თეთრეული, პირსახოცი, ჭურჭელი, რომლითაც ავადმყოფი სარგებლობს, ცალკე გარეცხეთ და უსათუოდ დამდუღრეთ. შენობაში არ უნდა იყოს ბუზები. ყველა ნაავადმყოფარი ვალდებულია ჩაიტაროს სამედიცინო გამოკვლევა ბაქტერიისმატარებლობაზე. ბაქტერიისმატარებელმა უნდა დაიბანოს ხელები საპნით და ჯაგრისით საპირფარეშოში ყოფნის შემდეგ, ჭამის და საჭმლის მომზადების წინ, რომ სხვებიც არ დაავადოს. სასურველია, თუ ბაქტერიისმატარებელი თავიდან აიცილებს საჭმლის მომზადებას.

დაიცავით სისუფთავე საპირფარეშოში, ყოველ დღე გააკეთეთ დეზინფექცია.

ბაქტერიისმატარებლის თეთრეული ყოველთვის მოხარშეთ. თუ ოჯახში ბაქტერიისმატარებელია, საკუთარი ბოსტანიც კი არ გაანოყიეროთ ინდივიდუალური საპირფარეშოდან. ასევე დაუშვებელია ამ ოჯახიდან რძის გაყიდვა. რძე მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის მოიხმარეთ და აუცილებლად წინასწარ აადუღეთ.

ბაქტერიისმატარებელი არ დაიშვება სამუშაოდ კვების საწარმოებში, საბავშვო და სხვა დაწესებულებებში, სადაც პროდუქტების მომზადება ან გაცემა სწარმოებს.

კუჭ-ნაწლავის ინფექციის თავიდან ასაცილებლად საკმარისია დავიცვათ უმარტივესი წესები: ღია წყაროებისა და ჭის წყალი ხმარების წინ უნდა ავადუღოთ. ბოსტნეული, ხილი, კენკრეულობა, რომელსაც უმად შევექცევით, უნდა გაირეცხოს წყალსადენის ან ადუღებული წყლით. ბანაობა მდინარეებში, ნაკადულებსა, ტბებსა და ზღვებში მხოლოდ სპეციალურად საბანაოდ გამოყოფილ ადგილებში შეიძლება.

მაცივარში უმი ხორცი, ქათამი და თევზი განცალკევებულად უნდა შეინახოთ იმ პროდუქტებისაგან, რომლებიც სითბურ დამუშავებას არ საჭიროებს. იხვისა და ბატის კვერცხის უმად ჭამა არ შეიძლება, ის უნდა ხარშოთ არა ნაკლებ 15 წუთისა.

არაპასტერიზებული რძე ხმარების წინ უსათუოდ უნდა აადუღოთ. ადუღება არც პასტერიზებულ რძეს აწყენს.

ხორცის დასაჭრელად ორი ფიცარი უნდა გქონდეთ. ერთი უმი, მეორე კი მოხარშული ხორცისათვის.

უმი ხორცისა და ხორცეული პროდუქტების დაჭრის შემდეგ დანა, ხორცის საკეპი მანქანა, ხორცის დასაჭრელი ფიცარი მდუღარე წყლითა და საპნით უნდა გაირეცხოს.

ჭამისა და საჭმლის მომზადების წინ ხელები საპნით დაიბანეთ.

არ დაგავიწყდეთ, რომ ავადმყოფობას ბუზებიც ავრცელებენ. მოსპეთ ისინი.

**ი. ტენდენტნიკი,**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# სოკოთი მოწამვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, სოკო და მისგან დამზადებული სხვადასხვა კერძი მეტად ნოყიერი და გემრიელი საკვებია. საკვებად გამოსადეგი სოკო შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებს — ნახშირწყლებს, ცილებს, ცხიმებსა და სხვადასხვა ვიტამინებს, მაგრამ, მიუხედავად მაღალი საგემოვნო თვისებებისა, საჭმელად ვარგისი ზოგიერთი სოკოს მონელება ორგანიზმს უჭირს, ამიტომ იმ პირებს, რომელთაც დაავადებული აქვთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი და თირკმელები სოკო არ ეჭმევათ.

საჭმელად ვარგისი სოკოს გარჩევა შხამიანისაგან კი ყველას როდი შეუძლია. ხშირად სოკოს საკრეფად გასული ბუნების მოტრფიალეები, რომლებიც კარგად ვერ ანსხვავებენ სოკოს ჯიშებს, საკვებ სოკოსთან ერთად შხამიანსაც კრეფენ და განსაცდელში აგდებენ როგორც საკუთარ თავს, ისე ოჯახის წევრებს, და ზოგჯერ მიპატიჟებული სტუმრების სიცოცხლესაც კი. სტატისტიკით დადგენილია, რომ მოწამვლის შემთხვევათა უმეტეს ნაწილს სწორედ ასე მოკრეფილი თუ ბაზარზე კერძო პირებისაგან ნაყიდი სოკო იწვევს, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ დამზადებული სოკოს ჩირი, მარინადი თუ მწნილები უვნებელია და მათი მირთმევა გულდამშვიდებით შეგიძლიათ.

ზოგიერთი სოკოსავკარგიანობას ხალხში გავრცელებული ცრუ შეხედულებების მიხედვით აფასებს. ჰგონიათ, რომ სოკო შხამიანია თუ სოკოს კერძმა ხარშვის დროს მასში ჩადებული ვერცხლის კოვზი გააშავა, რომ შხამიან სოკოს ცუდი გემო და სუნი დაჰკრავს, ან ნორჩი სოკო შხამიანიც რომ იყოს, მოწამვლას არ გამოიწვევს და სხვა. რასაკვირველია, ყველა ეს შეხედულება მცდარია.

საჭმელი სოკო, თუ ის ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს იქნა შენახული, უვარგისი ხდება. ამიტომ საჭიროა სოკოს კერძის მომზადება მისი მოკრეფიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში. თუ კერძის მომზადება ამ ხანში ვერ მოესწრო, მაშინ სოკო უნდა დავამარილოთ, გავახმოთ ან დავამწნილოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში გავრცელებული შხამიანი სოკოებიდან განსაკუთრებით მძიმე და ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ მოშხამვას იწვევს ბილწა ანუ შხამა, წითელი, აბედა, ბებერა და სხვა სოკოები, ყველანაირი შხამიანი სოკოთი მოწამვლის კლინიკური სურათი თითქმის ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ თავისი მძიმე და ზოგჯერ სასიკვდილო მიმდინარეობით გამოირჩევა ბილწა სოკოთი მოწამვლა, რომელიც გამოვლინდება სოკოს მიღებიდან 8-18 საათის შემდეგ. მოშხამულებს ეწყებათ: ძლიერი, მწვავე ხასიათის ტკივილი მუცლის არეში, გულის რევა, ზოგჯერ სისხლიანი პირღებინება და სისხლიანი ფაღარათი, თავბრუხვევა, ქოშინი, გულის წასვლა, მკვეთრად ეცემა არტერიული სისხლის წნევა, ზოგჯერ ვითარდება სიყვითლე (ღვიძლის მწვავე ტოქსიკური ანთების განვითარების გამო) და შარდის სრული გამოუყოფლობა (თირკმელების ნეკროზული მწვავე ანთების დროს). წითელი შხამიანი სოკოთი მოწამვლის დროს კი ხშირად ჭარბობს ცენტრალური ნერვული სისტემის მოვლენები: აგზნება, ბოდვები, ჰალუცინაციები, კრუნჩხვები, გაძლიერებული ნერწყვის და ოფლის დენა, რასაც თან ერთვის კუჭ-ნაწლავის აშლილობა: გულისრევა, ღებინება და ფაღარათი.

ასეთივე მეტ-ნაკლებად გამოხატული კლინიკური მოვლენები ახასიათებს სხვა შხამიანი სოკოთი მოწამვლასაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი ინკუბაციური პერიოდი საგრძნობლად მოკლეა და სიკვდილის შემთხვევებიც გაცილებით ნაკლებია.

სოკოთი მოშხამვის შემთხვევაში ავადმყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარება უნდა გაეწიოს: მიუხედავად სოკოს მიღებიდან განვლილი დროისა, მოწამლულს პირველ რიგში უნდა ამოერეცხოს კუჭი თბილი წყლით, რომელშიც უნდა გაიხსნას აქტივიზირებული ნახშირი (1-2 ჩაის კოვზი ნახშირი 1 ლიტრ წყალზე), ან 2-პროცენტიანი მარილიანი წყლით (20 გრამი სუფრის მარილი გახსნილი 1 ლიტრ წყალში), სოკოთი მოშხამვის დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კუჭის ამორეცხვა სოდიანი ან ბორჯომის წყლით. კუჭის ამორეცხვის შემდეგ მოშხამულს უნდა მიეცეს ინგლისური მარილი 20 გრამი და გაუკეთდეს მაღალი (სიფონის ტიპის) ოყნა თბილი, მარილიანი წყლით. ეს რასაკვირველია მანამდე, ვიდრე მოვიდოდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომელიც ვალდებულია მოწამლული დაუყოვნებლივ გადაიყვანოს საავადმყოფოში მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

დოცენტი ო. ქორიძე

# ახალგაზრდა დიასახლისის კუთხე

### მაწვნის შეჭამადი

წვრილად დაჭრილი 100 გრ ხახვი კარგად მოშუშეთ 100 გრ კარაქში ან 50 გრ ერბოში. ვიდრე ხახვი მოიშუშება, 1 ქილა მაწონში ათქვიფეთ კარგად 1 სუფრის კოვზი ფქვილი და ორი კვერცხი. მოშუშულ ხახვს დაასხით ნახევარი ლიტრი ცხელი წყალი და შემდეგ ნელ-ნელა ჩაუშვით შიგ გათქვეფილი მაწონი, თან ქვაბს განუწყვეტლივ ურიეთ კოვზით, რათა წვენი არ აიჭრას. ადუღდება თუ არა, ჩაახალეთ მთელ-მთელი 2-3 კვერცხი, 3-4 წუთის დუღილის შემდეგ ქვაბი გადმოდგით ცეცხლიდან და ჩაყარეთ შიგ წვრილად დაჭრილი 100 გრ ქინძი ან კამა და მარილი გემოვნებით. კამით შეზავებული შეჭამადი უხორცო წვენის გემოს ღებულობს. ქინძით შეზავებული კი ჩიხირთმასა ჰგავს.

რადგან სიტყვამ ჩიხირთმა მოიტანა, უხორცო ჩიხირთმის რეცეპტსაც შემოგთავაზებთ. ისიც თითქმის ისევე მზადდება, როგორც მაწვნის შეჭამადი.

### უხორცო ჩიხირთმა

წვრილად დაჭრილი 100 გრ ხახვი მოშუშეთ გაყვითლებამდე, დაასხით ოთხი ჭიქა ცხელი წყალი. 2-3 სუფრის კოვზ ძმარში და 1 ჭიქა ცივ წყალში კარგად ათქვიფეთ ორი კვერცხი და 1 სუფრის კოვზი ფქვილი. მიღებული მასა ნელ-ნელა ჩაუშვით ქვაბში და ურიეთ, ვიდრე ადუღდება, ადუღების მერე უყავით მარილი, ჩაახალეთ 2-3 კვერცხი, სამი-ოთხი წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და შეაზავეთ წვრილად დაჭრილი 100 გრ ქინძით.

### სალათა მაიონეზით

500 გრ გარეცხილი სალათა, 200 გრ ქინძი და 200 გრ ახალი ხახვი დაჭერით, მოათავსეთ თუშფალანგზე, დაწრიტეთ და გადაიტანეთ თასზე, მოაყარეთ მარილი გემოვნებით. მოასხით 2-3 სუფრის კოვზი ძმარი ან ლიმონის წვენი, აურიეთ და შემდეგ შეაზავეთ 1 ქილა მაიონეზით. ეს სალათა ცალკეც სასიამოვნო საჭმელია და შეგიძლიათ სუფრაზე მიიტანოთ მოხარშულ ან შემწვარ კარტოფილთან ერთად. ძალიან უხდება მოხარშული კვერცხიც.

### უმი მწვანილის მხალი

300 გრ ნიახურს, 300 გრ კამას, 200 გრ ქინძს და 200 გრ ოხრახუშს მოაცილეთ უხეში ღეროები, დაჭერით წვრილად და მოათავსეთ თასზე; გახეხეთ 500 გრ პამიდორი და შიგ აურიეთ დანაყილი 100 გრ ნიგოზი და 2 კბილი ნიორი. მიღებული მასით შეაზავეთ მწვანილეული, კარგად აურიეთ და გემოვნებით უყავით ძმარი და მარილი; მხალი შეგიძლიათ უნიგვზოდაც მოამზადოთ, მხოლოდ ნიგვზის მაგიერ მოასხით ცოტა ზეთი.

ასეთი წესით მომზადებული მხალი მდიდარია ვიტამინებით.

### ახალი კომბოსტოს სალათა

წვრილად დაჭრილი 500 გრ კომბოსტო მოათავსეთ ქვაბში, მოაყარეთ მარილი, დაასხით 3 სუფრის კოვზი ძმარი ან 1 ცალი ლიმონის წვენი, შედგით ცეცხლზე და გააცხელეთ იმ ზომამდე, რომ კომბოსტო ოდნავ მოილბეს და მაინც ხრაშუნობდეს. შემდეგ გააცივეთ, მოასხით 50 გრ ზეთი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი 5-6 ღერი მწვანე ხახვი, 50 გრ ოხრახუში და 100 გრ კამა. ჭამის წინ სალათას გემოვნებით მოასხით არაჟანი.

ალექსანდრა ჭელიძე,
დიასახლისი.

# ქარგვის ოსტატი





1937 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, საბჭოთა კავშირის პავილიონში სხვა ექსპონატებს შორის საქართველოდან გაგზავნილი ხევსურული კოსტიუმიც იყო. ამ კოსტიუმმა საერთო მოწონება დაიმსახურა. მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ჩოხის მოქარგული გულისპირი, კალთები და სახელოები. ფრანგებმა ამ ნამუშევარს „ხელგარჯილობის იშვიათი, მხატვრული ნიმუში" უწოდეს. ხევსურული კოსტიუმის მხატვრული გაფორმება ქართველ მანდილოსანს მარგარიტა ბარათაშვილს ეკუთვნოდა.

თვითნასწავლ მქარგავს მარგარიტა ბარათაშვილს თავდაპირველად ხელოვნებაზე არ უფიქრია. უყვარდა ფერები, პოეზია, სილამაზე, ხელსაქმე და თავისუფალ დროს კერავდა, ქსოვდა, მაგრამ ხელგარჯილობიდან ყველაზე მეტად ქარგვა იზიდავდა. თავისი ნამუშევრების უმეტეს ნაწილს მეგობრებსა და ნაცნობებს ურიგებდა სახსოვრად. ასე გაიცნო იგი ხალხმა, ასე გაიკაფა გზა ხელოვნებისაკენ. მარგარიტა ბარათაშვილის განსაცვიფრებელი ხელოვნება შემდგომ გავრცელებას მოითხოვსო, — სწერდნენ მისი ნამუშევრებით მოხიბლული ხელოვნებათმცოდნენი.



მარგარიტა ბარათაშვილი ღირსეულად აგრძელებს ქართული გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციებს. ქარგვა ოდითგან ქართველ ქალთა საყვარელი ხელსაქმე იყო. მეცხრამეტე საუკუნეში ქარგვის აღიარებულ ოსტატებად ითვლებოდნენ ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე ეკატერინე ბარათაშვილი, მანანა ორბელიანი და მართა ავალიშვილი, რომელმაც ქარგვა თავის აღსაზრდელებს — ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებსაც შეასწავლა. ისინი კარგად ფლობდნენ ოქრომკედით ქარგვის ოსტატობას. მოსირმული ქართული ტანსაცმელი ნაქები იყო საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მარგარიტა ბარათაშვილის ხელოვნება ოქრომკედით როდი გვაოცებს, მისი შემოქმედების მომხიბვლელობა უსაზღვრო ფანტაზიაში, უბრალო მძივებისა და ნაირნაირი ძაფების მოხდენილ შეხამებაშია. ქართული ორნამენტები და სახეები, ქარგვის ორიგინალური მანერა სამუდამოდ გვამახსოვრებს მარგარიტა ბარათაშვილის მრავალფეროვანსა და ლამაზ შემოქმედებას.

**ი. ძუცოვა**

გარეკანის პირველ გვერდზე — „პირველი მერცხლები", მოქანდაკე მ ი კ ი ნ ა ს ი; მეოთხე გვერდზე — მ ა რ გ ა რ ი ტ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ნამუშევრები. ფოტორეპროდუქცია თ. ფურცხვანიძისა


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბუნიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 16/V-73 ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. VI-73 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 125.600, შეკვ. 1700 უე 01922 ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

მუსიკა ლილი იაშვილისა

ტექსტი ბიჭა აბშილავასი




ფიროსმანის მოხატული,
გორგასალის ნაშენი,
საქართველოს არწივების
ასაფრენი, სამშვენი...

აყვავებულ ლამაზ მაისს
გულში იკრავს თბილისი
მთაწმინდიდან ნიავს მოჰყვა
მზე მზისფერი თილისმით...

რუსთაველზე მხნე ქადრები
შრიალებენ სიმღერებს
თბილისს სახე ებადრება,
ვერ შებედავს სიბერე...

დაილოცოს საქართველო
მისი მთებით, ველებით...
თუ დავჭირდი მე ჩემს მამულს
თავზე შემოვევლები...

ბ 81/130

ИНДЕКС 76178







